

832

1953



ორგანო სსსრ-სთვის. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.
Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

დრონი

დრონი

“NOTRE DRAPEAU”

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 15

პარტიო

ნაგებებო

Paris.

1953

დ ა ს კ ვ ნ ა

მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო! არ უნდა მომხდარიყო იმისთვის, რომ ის, რაზეც ჩვენ გვინდა ახლა ვილაპარაკოთ, ნაღდი საქმე იყო, ნათელი და სასარგებლო ყველასთვის, ვინც ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძვის.

ეს გუშინდელი ამბავი არაა; იმის დეტალები ჩვენს გაზეთებში თავის დროზე იბეჭდებოდა: «ამერიკულ კომიტეტმა», რომელიც მიზნად ისახავს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას, ამ ორი წლის წინად მოინდომა გაერთიანება ყველა საბჭოთა კავშირში მობინავე ერების ემიგრაციის და ამ გაერთიანებულ ანტი-ბოლშევიკურ ორგანიზაციისთვის დახმარების აღმოჩენა. «ამერიკული კომიტეტი» თავისუფალი დაწესებულებაა, ამერიკის საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი. გავლენიანი, მაგრამ არა ოფიციალური ორგანო, ვისმეზე ძალდატანება რომ შეეძლოს. მასთან დაახლოება ამერიკის საზოგადოებრივ ძალებთან დაახლოებას მოასწავებდა. მათთან თანამშრომლობა—ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირიდან გამოსულ მრავალფეროვან ემიგრაციის გაცნობას და მათი სულისკვეთების ამერიკის საზოგადოებაში პოპულარიზაციას.

ერთ ასეთ ანტიბოლშევიკურ ძალათ «ამერიკულ კომიტეტმა» ჩვენც ჩაგვთვალა, ქართველი ემიგრაცია; მიგვიწვია მათ მიერ წამოწყებულ საქმეში და ჩვენც, ქართულ ეროვნულ საბჭოს სახით, ხალისით მივიღეთ მათი მოწვევა. ამერიკის საზოგადოებრივი აზრის ჩვენ სასარგებლოთ მომზადება, ერთის მხრით, და ანტიბოლშევიკურ ძალების გაერთიანება, მეორე მხრით, ჩვენ სასარგებლოთ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია მტრის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

აქ უკვე მოსული იყვენ რუსის ემიგრაციის წარმომადგენლები და ზოგი არა-რუსებისა. მივედით იმით—და ვფიქრობდით, რომ სხვებიც ასე მოიქცეოდენ—რასაც სინამდვილეში წარმოვადგენდით: ჩვენ მიერ მოპოვებულ უფლებებით. ჩვენი საკითხის საერთაშორისო მდგომარეობით, ჩვენი გამოცდილებით, ჩვენი სუსტი მხარეების ცოდნით და შეურყეველ



სურვილით ანტიბოლშევიკურ ბრძოლის გასაგრძელებლათ. თუ ძალა ერთობაშია—ვეფქრობდით ჩვენ—ამ ერთობის შექმნა ადვილი საქმეა, რადგან მტერი ერთია, საბჭოთა კავშირში შემავალ ერების ამწიოკებელი; გასაყოფი ახლა არაფერი გვაქვს, გარდა უბედურებისა; ხოლო მოგება ჩვენი ის იქნება, თუ საბჭოთა ხელისუფლებას თავიდან მოვიცილებთ და ბოლშევიკების მიერ ძალით წართმეულ უფლებას აღვიდგენთ. საქმე იყო ნათელი და საკითხი ადვილათ გადასაქრელი: ყველა იბრძვის ძალით წართმეულ უფლებების აღდგენისთვის და არა ძალმომრეობის დასადასტურებლათ. თუ რამე, ამის გარედ, ურთიერთ შორის სადავო გვექნებოდა და გასასწორებელი, ამაზედ შემდეგ უნდა გველაპარაკა, როცა შინ დავბრუნდებოდით, გამარჯვებულნი.

სამწუხაროთ, რუსეთის ემიგრაციის წარმომადგენლებმა მათმა უმრავლესობამ, ასე არ შეხედეს საქმეს. მათ იფიქრეს, რომ დადგა მომენტი ემიგრაციაში იმის აღსადგენათ, რაც თავის ქვეყანაში დაკარგეს: რუსების დომინაციისა საბჭოთა კავშირში შეყვანილ ერების ემიგრაციაზე და მათ საქმიანობაზე კონტროლის, ესე იგი, ისეთი ოპეკისა. თავის შინაარსით, როგორც არსებობდა და არსებობს ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე. მომავლისთვის იძლეოდენ დაპირებებს, ხოლო იმ დროისთვის, როცა ყოფილ იმპერიის არც ერთ კუთხეში ბოლშევიკების ჭაჭანი აღარ იქნებოდა; ახლა კი არა-რუს ერების მიერ მოპოებულ არც ერთ უფლებას ისინი არ ცნობდენ. ამისთვის ისინი წინდაწინ დამხადებულ სტატუტით შეხვდენ არა რუს ერების წარმომადგენლებს და სტატუტში ყველაფერი—თვით ორგანიზაციის სახელწოდებიდან დაწყებული და იმის მოწყობის დეტალებით გათავებული—არარუს ერების უფლებების დამამცირებელი იყო.

ქართველები მისვლისთანავე შეედავენ ამ წესს და საქმის ორგანიზაციის გადახედვა მოითხოვეს არა-რუს ერების წარმომადგენელთა მონაწილეობით. მათ მხარს უჭერდენ რუსების ზოგი ორგანიზაციები და არარუსის ერების ყველა ის წარმომადგენლები, რომელნიც შინ და გარედ დიდი ხანია მიჩნეული იყვენ თავის ქვეყნის სულისკვეთებათა მატარებლათ და კანონიერ წარმომადგენლებათ. ესენი საერთო ორგანიზაციაში შესვლის წინააღმდეგი იყვენ, თუ შექმნილი პირობები არ გამოსწორდებოდა. ამ უკანასკნელთა მოთხოვნილებას ჩვენი წარმომადგენლები მხარს უჭერდენ ენერგიულათ, რადგან ჩვენს წარმომადგენლებს აინტერესებდა ნამდვილი ძალის შექმნა, ყველა რეალურ დემოკრატიულ ძალების თავის მო-

ყრა და არა ფიქცია, შექმნილი რუსების ორგანიზაციების მიერ. დავა ამ ნიადაგზე დიდხანს გაგრძელდა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი წარმომადგენლების მუშაობა ამ მხრივ ნაყოფიერი იყო. მათ მიღწიეს, ერთი მხრით, სტატუტის ძირიანათ გადახედვას და ახალი სტატუტის შედგენის აუცილებლობას და, მეორე მხრით, განზე გამდგარ არარუს ერების მნიშვნელოვან ორგანიზაციების თანხმობას საერთო ორგანიზაციაში შესვლაზე იმ პირობით, თუ ზოგიერთი დებულებანი, რომელნიც ფაქტიურ მდგომარეობას გამოხატავდნენ და მათ სულისკვეთებას შეეფერებოდნენ, სახეში იქნებოდა მიღებული და სტატუტით აღიარებული. კომპრომისი იყო საჭირო საერთო საქმის მოსაწყობათ და არარუს ერების სხვა წარმომადგენლები, ისე, როგორც ჩვენიც, ზოგ მნიშვნელოვან დათმობაზე—შესაძლებლობის ფარგლებში—მიდიოდნენ.

ხან პირისპირ რუსების და არარუსების ორგანიზაციების წარმომადგენლების და ხან «ამერიკულ კომიტეტის» წარმომადგენელთა თანდასწრებით დავა გრძელდებოდა და ამ დიდი ხნის განმავლობაში ერთადერთ მნიშვნელოვან ფაქტს ჰქონდა ადგილი: «ამერიკულ კომიტეტის» თაოსნობით მოეწყო რადიო-სადგური, საიდანაც საბჭოთა კავშირში შემავალ ერების წარმომადგენელთა თავისუფალი ხმა გაისმა. მათ საკუთარ ენაზე. ჩვენ შემთხვევა გვაქვს ვსთქვათ, რომ ჩვენს წარმომადგენლებს აქაც მუდამ ლოიალურათ და საქმის მნიშვნელობის სიმაღლეზე ეჭირათ თავი. ეს სხვათა შორის.

სხვა საერთო საქმე არაფერი გაკეთებულა. სამაგიეროთ, საკმარისია გადაათვალიეროთ ამ ხნის განმავლობაში ემიგრაციაში გამოსული მრავალ-რიცხოვანი რუსული ჟურნალ-გაზეთები და თქვენ დაინახავთ, თუ რაოდენ ამბიციით ეს პატიოსანი ხალხი და მათი პრესა—ძალიან მცირე გამოწველისის გარდა—იცავს ვითომდა უფლებით მიჩიქებულ თავის პრივილეგიურ მდგომარეობას და პრესტიჟს რუსის ხალხის და როგორის ირონიით დასცქერიან ისინი არარუს ერების პრეტენზიებს დამოუკიდებლათ არსებობისთვის, როგორ ჩაკიტიკებენ თითოეულ ფრაზას და სიტყვას ამათ მიერ წარმოთქმულს: თითქოს აქ, მიუნხენში თუ სადმე სხვაგან უცხოეთში, სწყდებოდეს ბედი საბჭოთა კავშირში შემავალ ერების. თავიდანვე ცივ წყალს ასხამენ ისინი არა რუს ერების იმედიან გრძობას, რომ შეიძლება ბოლშევიკების მიერ გათვლილი მათი უფლების აღიარება ჰპოვონ იმათში, ვინც განახლებულ რუსეთის მემკვიდრეებათ სთვლიან თავის თავს და გვპირდუ-

ბიან მომავალ რუსეთის დემოკრატიულათ მოწყობას. იმედის მაგიერ, სინამდვილეში მხოლოდ ძველი ცნობილი ფრაზა გაიგონეს იმათ რუსების ამ ბანაკიდან: «ასე იყო, ასე იქნება!» ო. თითქოს იმას, რაც ამ 40—50 წლის განმავლობაში მოხდა მთელ მსოფლიოში და თვით რუსეთში, სრულიად უშედეგოთ ჩაეველოს...

ქუშმარიტად ქების ღირსი არიან ჩვენი წარმომადგენლები, რომ ასეთ ატმოსფეროში ცდილობდნენ საქმის შევლას: ყველა ანტი-ბოლშევიკურ ძალების გაერთიანებას მტერზე იერიშის მისატანათ, ხოლო ამ გაერთიანებაში შემავალ ყველა წევრების უფლების და ღირსების დაცვით. ამათ! თვით «ამერიკის კომიტეტის» წარმომადგენელთა ჩარევამ, რომელნიც უფრო და უფრო ერკვეოდნენ ნაციონალურ საკითხის მნიშვნელობაში დღევანდელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ვერაფერი უშველა. რუსის და არა-რუს ერების წარმომადგენელთა შემათანხმებელ კომისიაში მუშაობიდან ერთი ნაწილი რუსის ორგანიზაციების წარმომადგენლებისა გავიდა და ფაქტიურათ დაშლილ «საკოორდინაციო ცენტრის» ვითომდა საქმიანობა განაგრძო. ასე იშვა ორი «ცენტრი»: 1) ერთი «ცენტრი», შემდგარი ბ.ბ. მელგუნოვის და კერენსკის მეთაურობით, რამდენიმე რუსის ორგანიზაციების და მათ მიერ მოწვეულ არა-რუს ემიგრანტებისაგან და 2) ახალ საფუძველზე აშენებულ არა-რუს ერების მთავარ ორგანიზაციების და ორი რუსული ორგანიზაციის («ხალხთა თავისუფლებისთვის ბრძოლის ლიგა» და «სბორნ»-ის, ე. ი. ყოფილ ვლასოველების—ახალი ემიგრაცია), ცენტრი, სახელწოდებით «ერთაშორის საკოორდინაციო ანტი ბოლშევიკური ცენტრი». ამ უკანასკნელის შექმნაში დიდი მუშაობა ჩაატარეს ნამდვილ მებრძოლ ძალების გასაერთიანებლათ «ლიგის» და «სბორნ»-ის წარმომადგენლებმა.

თავის პრესტიჟის დასაცავათ—რადგან ყველამ იცის, რომ საბჭოთა კავშირი მრავალ ერიანი სახელმწიფო არის—პირველმა, ბ.ბ. მელგუნოვის და კერენსკის მეთაურობით გამოყოფილმა—ცენტრმა ყალბი დეკორაცია მოაწყო: თავის «ცენტრში» მან შეიყვანა დღემდის თვით თავის ხალხში და ემიგრაციის ფართო საზოგადოებრივობაში სრულიად უცნობი, ხოლო რუსების ორგანიზაციებთან მორჩილებით თანამშრომლობის წინასწარ მომზრე პირები: რამდენიმე ქართველი ახალგაზდა, რამდენიმე სომეხი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი და სხვები. ამ «ცენტრში» შემავალ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა კარგად იციან, რომ ის, რაც მათ მოაწყვეს არის ფიქცია და არა ნამდვილი წარმომადგენლობა, თუ-

ნდაც ემიგრაციის რუსის და არა-რუსის ორგანიზაციებისა. ჩვენ თავს ნებას არ ვაძლევთ, სხვა ერების წარმომადგენელთ მივსცეთ ატესტაცია, ეს თვით ამ ერების ემიგრაციის საქმეა და კომპეტენცია; ხოლო ქართველების წარმომადგენლობაზე» კი გვაქვს ჩვენი სიტყვა სათქმელი: გამოყოფილ «ცენტრში» შემავალ ორგანიზაციებმა განა არ იციან, თუ ვინ წარმოადგენს მართლა ქართველ ხალხს: ისინი, ვინც მათ დღეს გვერდში ამოიჯინეს, როგორც ქართველების წარმომადგენლები, თუ ისინი, ვინც 40—45 წელიწადია თავისუფლებისთვის ბრძოლაში არიან ჩაბმული, ხან მთელი რუსეთის და ხან თავის საკუთარ ქვეყნის მასშტაბით, და თავის ხალხს წარმოადგენდენ და წარმოადგენენ სულ სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე? როცა გამოყოფილ «ცენტრში» შემავალ, უმთავრესად რუსის ემიგრაციის წარმომადგენლებმა, საზოგადო საქმეში ამ გაჭაღარებულ ქართველებთან თანამშრომლობას ხელი ჰკრეს, ამით მათ აშკარად დაანახეს ყველას, რომ მათ არა-რუსების ნამდვილ წარმომადგენლებთან შეთანხმება და არა-რუს ერების ნამდვილ სულისკვეთებისთვის ანგარიშის გაწევა არ სურთ. უკეთესად, ვიდრე ქართველებთან, არ არის მათი პოზიცია სხვა არა-რუს ერების წარმომადგენლებთან დამოკიდებულებაში. მაშ, რა «საკოორდინაციო ცენტრია» მათი ცენტრი? ასეთ «ცენტრიდან» უნდა მოველოდეთ ჩვენ საკითხების დემოკრატიულათ განსჯას და გადაწყვეტას?

საქმე ჩაიშალა, ყოველ შემთხვევაში იმ მასშტაბით, თავიდან განზრახული რომ იყო. «ამერიკულ კომიტეტის» ცდამ ემიგრაციის ძალების საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გასაერთიანებლათ ჯერ-ჯერობით ნაყოფი ვერ გამოიღო. მაგრამ მთელმა ამ საქმემ ჩვენს—და ჩვენთან ერთად სხვა არა-რუს ერების ორგანიზაციებს უცხოეთში—მანიც სარგებლობა მოუტანა, სახელდობ:

ა) «ამერიკულ კომიტეტთან» დაახლოება და მისთვის—და მის საშვლებით ამერიკის ფართო საზოგადოებრივი წრეებისთვის—ჩვენი საკითხის და ჩვენი ერის სულისკვეთების გაცნობა;

ბ) საქვეყნო გამოაშკარაებები იმის, რომ რუსების ორგანიზაციების იმ ნაწილის, რომელიც თავის თავს სთვლის რუსის ემიგრაციის უმრავლესობის აზრის გამომხატველათ, მოქმედების გამოსავალ წერტილს შეადგენს დაცვა რუსეთის ყოფილ იმპერიის მთლიანობის, თუნდაც ამით ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა დაბრკოლდეს;

გ) საქართველოს ეროვნულ საბჭომ, რომელიც თავიდანვე მომხრე იყო საერთო მებრძოლ ფრონტის შექმნისა, თუ სავსებით ვერ მიაღწია მიზანს, გამოაცხადებდა მაინც სხვა ერებთან ურთიერთობა და უფრო დაუკავშირდა, როგორც ჩვენი ახლობელ მეზობლებს—სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის—წარმომადგენლებს, ისე საბჭოთა კავშირის უფრო შორეულ ქვეყნებისას—უკრაინის, ბელორუსიის და სხვათა. ჩვენს პოზიციას მიემხრო ორი რუსული ორგანიზაცია, რომელნიც შეიძლება ახლა საერთოდ წარმოდგენილ რუსის ორგანიზაციების უმცირესობას წარმოადგენენ, მაგრამ სხვებზე უფრო აუღეს ალღო ცხოვრების ახლანდელ მოთხოვნილებებს და ნამდვილ დემოკრატიის ნიდავზე დარჩენ; ეს გარემოება მოწმობს იმასაც, რომ რუსის საზოგადოებრივ აზრშიც გატყდა ყინული და იქ არსებობს წრეები, რომელნიც ფიქრობენ, რომ ცნება «ერთისა და განუყოფელ» რუსეთის ისევე წარმავალია, როგორც სხვა მრავალერიან იმპერიების.

ბრძოლა ბოლშევიკების ანუ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გრძელდება, გრძელდება მსოფლიო მასშტაბით. ამ ბრძოლაში ჩვენ უფრო გაერთიანებული ვართ და დაახლოებული სხვებთან, ვინემ ამ ორი-სამი წლის წინად ვიმყოფებოდით. ჩვენ ერთგული ვრჩებით საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ ერთჯერ მიღებულ გადაწყვეტილების: ვითანამშრომლოთ შეთანხმებით ყველა ანტიბოლშევიკურ ძალებთან, ვინც მართლ დემოკრატიულ ნიდავზე დგას და ჩვენს—ისე, როგორც სხვა ერების მიერ—მიღწეულ უფლებების წინააღმდეგ არ იბრძვის.

ქვეყანამ იცის, რომ ქართველ ერს არ აკლია უნარი თავისუფლებისთვის ბრძოლის. ყველამ დაინახა ახლა ისიც, რომ ქართველებმა იციან ერთობის და მეგობრობის მნიშვნელობა საერთო მიზნის მისაღწევად; მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ თავის წმიდა უფლებას თავისუფლათ არსებობისთვის ისინი საეჭვო დაპირებაში გაცვლიან.

არას დროს!..

თავისუფლებისთვის ბრძოლამ და ამ ბრძოლის უნარმა შეინახა ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში და შთაბერა ქართველ ხალხს დემოკრატიული სულისკვეთება. რუსის ემიგრაციის ის ხელმძღვანელები, ვინც ამ ისტორიულ ფაქტს, ქართველ ერის ამ ტრადიციას, ანგარიშს არ გაუწევენ, ვერავის დაარწმუნებენ, რომ ნაციონალურ საკითხის დემოკრატიულ პრინციპების თანახმად გადაჭრის მომხრე მართლა არიან.

ყველას უფლება აქვს თავის ქვეყნის კეთილდღეობისთვის იზრუნოს ისე, როგორც მას ეს სასარგებლოთ მიაჩნია. ვუკუვობთ კი, რომ საბჭოთა კავშირის რეჟიმის ქვეშ მგმინავი რუსის ხალხის ინტერესი იყოს და იგი ახლა სავსებით იზიარებდეს რუსის ემიგრაციის ზოგიერთ წარმომადგენლების მაქსიმალისტურ იდეებს: «ან ყველაფერი, ან არაფერი!», ესე იგი: ყოფილი იმპერიის «მთლიანად და განუყოფელად» აღდგენის სურვილით, მომხრე იყოს ახლა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფრონტის დაქუცმაცების; ან ის პერსპექტივები ახალისებდეს ახლა რუსის ხალხს, რომ ბოლშევიკურ რეჟიმის გადაგდებით გამოსული უდიდეს და დიდი ხნის გაჟირვებიდან, იგი, არა-რუს ერების რუსეთის საზღვრებში ძალდატანებით დატოვების მიზნით, კვლავ ახალ არეულობათა და ბრძოლათა ცეცხლში გადავარდეს.

დასკვნისთვის, ჩვენ მოვიყვანთ აქ იმ აზრს, რასაც ევ. გეგეჭკორი სწერდა ამას წინათ ერთ თავის მემორანდუმში:

«რუსულ სულისკვეთებას აუცილებლად უნდა მიეცეს მაქსიმალური დაკმაყოფილება, მაგრამ არა იმ საფასურით, რაც უმახვილესი იარაღია ნაციონალურ ბანაკისთვის საერთო მტრის წინააღმდეგ და რაც ფორმალურად ცნობილია თვით საბჭოთა კონსტიტუციის მიერ, ე. ი. ცნობა კავშირის ყველა ერთათვის დამოუკიდებელი არსებობის უფლებისა. შეუძლებელია მომავალ ბრძოლაში ურთი-ერთის განიარაღება: არა-რუს ერებს «არ შეუძლიათ იქონიონ პრეტენზია რუსთა მოქცევისა «დანაწილების მომხრეებათ; მაგრამ არც ისინი უნდა ითხოვდნენ ჩვენი ხალხებიდან უარი სთქვან თავიანთ «დამოუკიდებლობაზე» *)».

შეუძლებელია, რომ ამ რეალურ მოსაზრებას გვერდი აუაროს ვინმემ, ვისაც სურს ბოლშევიკების წინააღმდეგ გაერთიანება ყველა ძალების, როგორც რუსის, ის არა-რუსის ერების ემიგრაციისა.

*) იხ. ევ. გეგეჭკორის მიერ ამერიკულ კომიტეტის რწმუნებულთათვის ამ წლის 30 ივნისს გადაცემული მემორანდუმი («მებრძოლი საქართველო» № 16, გვ. 23).

მცირე შენიშვნები

დიდ სამბაზო.

ექვს ნოემბერს მოსკოვმა ჩვეულებრივი ზეიმით იდღესასწაულა რეჟიმის 36 წლის თავი. ნათქვამია: ქვეყნად სასწაული არ არსებობს; კრემლის ბედ-იღბალი ამ ნათქვამის ცოცხალი უარისყოფაა.

თუ გავიხსენებთ, ლენინის ავანტიურა, მისი წარმოშობის პირველ დღიდან რუსეთში, დიდსა და პატარას წინასწარ დაღუპულ საქმედ მიაჩნდა და იგი ყველა პოლიტიკურ წრეების მიერ, მარცხნივ თუ მარჯვნივ, უდღეურათ იყო მონათლული.

სინამდვილემ სავსებით გააქარწყლა საყოველთაოთ აღიარებული პროგნოზი; ამ ხნის განმავლობაში ორიოდ ბუმბერაზი სახელმწიფო მტერად იქცა; ზოგიერთი—გაფრცქვნილი და სისხლ-დაცლილი ძლივს გამოძვრა მეორე მსოფლიო ომიდან; მთელი რიგი თავისუფალი ერებისა ტყვეობაში ჩავარდა; კრემლი კი გასივდა, გაიბერა და დღეს, უფრო მეტად, ვიდრე გუშინ, მოწინავე კაცობრიობას დაღუპვით ემუქრება.

როგორ მოხდა ეს სასწაული? ამის მიზეზთა სრული ანალიზი ჩვენი მცირე შენიშვნის საგნად არ გვაქვს დასახული: ეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა; ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მათი წყარო უმთავრესად რუსეთის გარეშე უნდა ვეძიოთ. და რაც დამახასიათებელია ეს წყარო დღემდინ არ არის დაშრეტილი; იგივე საგარეო ფაქტორები, რომელთა წყალობით კრემლი რამოდენჯერმე დაღუპვას გადაურჩა და 36 წელი იარსება, ესლაც იმავე მიმართულებით მოქმედებენ.

ბოლშევიზში, როგორც ეს ზოგიერთებს ეგონათ და ამ ეამათაც ჰგონიათ, სპეციფიურ რუსულ მოვლენათ ვერ ჩაითვლება; მისი რუსულ ავადმყოფობათ გამოცხადებამ სხვათა შორის დიდათ შეუწყო ხელი ბოლშევიკურ ექსპანსიას. უდავოა, რომ მსოფლიო ომმა ერთი მხრით და რუსეთის განსაკუთრებულ სოციალ-პოლიტიკურ პირობებმა (საერთო მიწათ მფლობელობა, მასების კულტურული ჩამორჩენა, დროებითი მთავრობის სიბეცე)—მეორეს მხრით, საუკეთესო ნიადაგი შეუქმნეს ბოლშევიკურ ექსპერიმენტს; მაგრამ მისი გაღრმავება, განმტკიცება და საერთაშორისო მოვლენად გადაქცევა; ეს კი საგარეო ფაქტორებს უნდა მივაკუთვნოთ: გავიხსენოთ ღენ. ლიუდენდორფის «დაპლომბილი» ვაგონები, ბრესტ-ლიტოვსკი, რაპალო, ღენ. ტუხაჩევსკის შეთქმულობა, ერთდამივე დროს, პიტლერის და ბენეშის მიერ გაცემა, მე-

ორე დიდი ომი, მოკავშირეთა სტალინისადმი უანგარო და ლოიალური დამოკიდებულება, რომ ნათელი გახდეს წყარო იმ სასწაულისა, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ამჟამათ ხომ საყოველთაოდ დამტკიცებულია, რომ 1942 წელს, სტალინი და მისი რეჟიმი ჰიტლერის სიგიჟემ და მოკავშირეთა ლოიალობის ერთად შეზავებამ იხსნა კატასტროფიდან!

ეს უკვე წარსულს ეკუთვნის და მისი უკან შემობრუნება შეუძლებელია. სავალალო ის არის, რომ კაცობრიობა ეხლაც არ არის დაზღვეული საბედისწერო შეცდომათა გამეორებისაგან. ამის ნიშნებს ჩვენ ვხედავთ განსაკუთრებით ეხლა, როცა მოსკოვი დიდ განსაცდელშია.

სტალინის სიკვდილი რომ უშედეგოდ ვერ ჩაივლიდა მის მიერ შექმნილ რეჟიმისათვის, ვფიქრობთ, რომ ეს ყველასათვის ექვს გარეშეა, პიროვნული დიქტატურის ბუნება იმაშია, რომ მის მატარებელთან ერთად, ადრე თუ გვიან, ისეც უნდა გაქრეს; ამის საბუთს საბჭოთა დღევანდელი სურათი იძლევა: სტალინის გაქრობას მოყვა ყველა დარგებში კრიზისი—მთავრობის, პარტიის, მოხელეთა, ჯარის, არა-რუს ერთა და განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ეკონომიურმა კრიზისმა.

მართალია, ჩვენს განკარგულებაში არ არის საკმარისი ცნობები საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის სწორ დასაფასებლად; მაგრამ განა ბერიას შემთხვევა არ იძლევა სრულ სურათს კრემლის მეთაურობის ავადმყოფობისა? ან ბერიას ლიკვიდაციით მთავრობის კრიზისი ამოიწურა? პირ იქით. ეს შემთხვევა მხოლოდ ამ კრიზისის დასაწყისია; ის ამ თავად სტალინის ახალი გამოცემის შეუძლებლობას მოწმობს. ცოტა დრო კიდევ, და ჩვენ დავინახავთ ბერიას ცდის ახალ ვარიანტს.

რას მოგვითხრობს ეს გაუთავებელი წმენდა კავშირის ეროვნულ რესპუბლიკებში, თუ არა უმწვერვალეს ნერვიულობას და განუსაზღვრელ უნდობლობას ცენტრისა პერიფერიებისადმი?

მიკოიანის დახრუშჩევის მოხსენებანი კი უმკერმეტყველესი საბუთია იმ ლეტარგიის, რომელმაც შეიპყრო კოლხოზები და ადმინისტრაცია სტალინის გაქრობის პირველ თვეებში.

ჩვენი დასკვნები არც გახურებულ ფანტაზიის ნაყოფია და არც დადლილ ემიგრანტის სურვილია, რომელიც მას რეალობათ მიაჩნია.

სხვაფორივ მდგომარეობის წარმოდგენა საბჭოთა კავშირში შეუძლებელია; სტალინის ეპოქით დიქტატურამ წრე დაასრულა და მისი იმ სახით გამეორება წარმოდგენელია; ტერორმაც თავისი თავი ამოსწურა; ძველებურად იგი უკვე არ

სურის (ბერლინის ამბები ამის საუცხოვო მაგალითია); მართალია, არც ერთი და არც მეორე სავსებით არ გამჭრალა; მაგრამ ორივეს წყალი წაუდგა. მკაცრი ზამთრის შემდეგ მცირე სითბოც გაშეშებულ ბუნებას ალღევებს და ყოველივე მოძრაობას იწყებს; ცხოვრების კანონიც იგივეა; არ არსებობს ქვეყნათ ძალა, შემჩერებელი იმ უამრავ სხვადასხვა ჯურის წინააღმდეგობათა დღემდე რომ რკინის არტახებში იყვნენ ჩაქედნილნი; ექვს გარეშეა, რომ ჩვენ დიდ ამბების წინაშე ვდგევართ; საბჭოთა კავშირის არსებობა ბეწვზე კიდია და მისი ხსნა როგორც არა ერთჯერ მხოლოდ კაპიტალისტურ დასავლეთის ხელშია.

შეჩერდეთ ოდნავათ დასავლეთის დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე. როგორია მისი ეხლანდელი სულისკვეთება? რა გზას დაადგა იგი მოსკოვთან ურთიერთობაში? საერთოდ, არსებობს თუ არა დასავლეთი ერთი პოლიტიკური გზით, შედუღებული ნებისყოფით და საერთო გეგმით მოსკოვთან ბრძოლაში? თუ, რასაკვირველია, ეს მიზანი ჰქონდა და აქვს დასახული.

არ უნდა დაუმალოთ არც ჩვენ თავს და არც სხვას, რომ საერთოდ სურათი დამაღონებელია. ატლანტიკის პაქტს, რომელზედაც ამდენ იმედს ამყარებდენ, ოთხი წელიწადი შეუსრულდა; მას ჰქონდა დაკისრებული დასავლეთის პოლიტიკურად და მილიტარულად შეკვრა; მასვე ვეალებოდა ყველა ანტიბოლშევიკურ ძალთა სულიერი მობილიზაცია და ერთი დროშის ქვეშ მათი დარაზმვა; ასეთი იყო, ვიმეორებთ, ამ პაქტის სულის ჩამდგმელთა ზრახვა.

ბევრი დრო და კიდევ უფრო მეტი მატერიალური რესურსები შეეწირა დასახულ მიზნის ცხოვრებაში გატარებას და უნდა აღვნიშნოთ, რომ შედეგები უმწეოა; ვინაიდან, მეორე დიდი ომის შემდეგ, დასავლეთის ქვეყნები ასე ერთმანეთზე არ ყოფილან დაშორებულნი, ვიდრე ამ ქამათ; და რაც საბედისწერაა მათი აზრთა სხვაობის წყარო უმთავრესად მოსკოვია; უკანასკნელ დროს ამერიკის მიერ აღებული შეურიგებელი პოზიცია ვერ ეგუება ინგლისის «უტილიტარულ» ზრახვებს და არც საფრანგეთის პოლიტიკურ ნეიტრალიზმს. ამ «სამების» გაერთება მენის გავარდნით თუ მოხდება, თორემ სანამ მათ მოსკოვის საშიშროება ერთნაირი სიმწვავეით არ უგვრძნიათ, ძნელია, თუ არა შეუძლებელი, ერთ პოლიტიკურ უღელში გაბმა.

აქედანაა, რომ მოსკოვის «მორჯულებამ» და მისი სწორ გზაზე დაყენებამ ზოგიერთ დიდ სახელმწიფოთათვის ავადმყოფური ხასიათი მიიღო (ფრანგების «Obsession»-ი). აირას

სწერდა «Le Monde» 7 ნოემბრის ნომერში: «ერთი სასიამოვნო სიტყვა, ერთი შემამრიგებელი ქესტი, უბრალო დათანხმება ლოჯანოში შეხვედრაზე საკმარისი იყო კრემლისათვის, რომ მას საკუჭნაო ოთახში მიეგდო ევროპიული ჯარის პროექტი, შეენძრია ატლანტიკის კავშირი, გაემწვევებია ამერიკა-ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა. ის (მოსკოვი), განაგრძობს ავტორი წერილისა, შეგვატრიალებდა ტაფაზე, როგორც des crêpes *) მეუბნებოდა. ერთ-ერთი, ფრიად ამ საქმეში დანტერესებული, თავის ბუნებით და გამოცდილებით ძნელი შემოსატრიალებელი პიროვნება; მაგრამ მოსკოვმა, ეს არ მოინდომა და არ ისურვა; რატომ?..

კომენტარიები მხოლოდ შეასუსტებდა მოყვანილ აზრს! ამ სტრიქონების დაწერის დროს საფრანგეთის პარლამენტში წყდება ბედი ევროპიული ჯარის. არ ვიცით, როგორ ვათავდება მომხრე-მოწინააღმდეგეთა ჯახი, მხოლოდ ის კი ვიცით, რომ დეპუტატთა დიდი უმრავლესობის სულისკვება დარჩება ერთი და იგივე: გერმანია მთავარი მტერია, მოსკოვი კი შემდეგ **).

ამავე დროს ინგლისში მოსკოვთან ვაჭრობის გასაჩაღებლათ მთელი «კონსორციუმი» შემდგარი; ჩერჩილი კი დღე და ღამ მალენკოვთან შეხვედრაზე ოცნებობს. ამ პირობებში რას უნდა მოველოდეთ «Bermudes»-ში განზრახულ სამთა კონფერენციისაგან?

გავათავოთ. შესაძლოა ჩვენ წერილში მკითხველმა წინააღმდეგობა დაინახოს: საბჭოთა კავშირის მდგომარეობა კრიტიკულათ გვაქვს დასაზული და დასაველეთის კი თითქმის უმწეოთ; თუ ეს ასეა, კრემლს არჩენინად შეუძლია იყოს,—მას არავითარი საფრთხე გარედან არ მოელის, შინაურ სიძნელეებს კი ის კვლავინდებურად გადალახავს, დაასკვნის მკითხველი.

სულ სხვაა წერილის ავტორის დასკვნა. კრემლის დღევანდელი სიძნელენი «კვლავინდებური» ხასიათის არაა; ბერიას ლიკვიდაციამ მხოლოდ დროებით შეანელა ძალაუფლების კრიზისი, ახლო მომავალში ჩვენ დიდი ამბემის მოწმენი გავნდებით.

ძველად რუსეთში იტყოდინ: რუსის «მუჟიკი» პირჯვარს მხოლოდ მაშინ გადაიწერს, როცა მენი გავარდებოა.

როგორ ვიფიქრებთ, რომ მენის გავარდნა დასაველეთის ხალხს არ უკარნახებს საერთო გზას საერთო საშიშროების მოსასპობათ.

მ. შამუგაძე.

*) შესაფერისი ქართული გამოთქმა ჩემ ლექსიკონში არ აღმოჩნდა. ე. გ.

**) «Figaro»-ს 19 ნოემბრის ნომერში ასეთი სათაურის მეთაურია: «Renversement des Alliances?» აქაც კომენტარიები ზედმეტია. ე. გ.

პატარა მარის ტრადიცია.

სამი წლის მანძილზე დაუცხრომელი ბრძოლა სწარმოებდა კორეის ტერიტორიაზე. გრგვინადენ ქვემეხები, ცეცხლის ალში ჩაიფარულა ქალაქები, სოფლები. ჯოჯოხეთურ წამებაში დაიღუპენ უდანაშაულო მცხოვრებნი. ათასობით მცირეწლოვან ბავშვებს და მოხუცთ სული ამოხდათ ციციუნულოვან ზამთრის დღეებში. არ დარჩენილა ქვეყნის ერთი კუთხეც ამოუბუგავი, წაუღეკავი, გაუნადგურებელი, უსახლკაროთა ხეტიალი გრძელდებოდა თვეების მანძილზე. —ჯარებისგან გადარჩენილ პურის ნამცეცების საპოვნელათ, ომის რისხვა მათ ერეკებოდა ერთი კუთხიდან მეორეში. კორეის არც ერთი ნაწილი არ გამოსულა ამ ბრძოლიდან დაუზარალებული.

ჩრდილოეთმა დაპყარვა ერთ მილიონზე მეტი, სამხრეთიდან აიბარვა ექვსი მილიონი მცხოვრებნი ჩინეთის შემოსევის შიშით და მოედო ქვეყნის მეორე ნაწილს. საშინელ წამებაში ჩაეარდა მთელი ქვეყანა.

რა მოხდა?

ჩინეთში გაბატონებით გათამამებულმა მოსკოვმა თავის აზიურ გეგმის სისრულეში მოყვანა განიზრახა. კორეის ერთ ნაწილს უკან ამოეფარა, მისი შეარაღებით და ჩინეთის დახმარებით თავის გავლენის გაფართოებას შეუდგა. კორეიაში გაბატონება მას აძლევდა საშუალებას აზიის ქვეყნებში თავისი დივერსიების ჩატარება ადვილად ეწარმოებია. მას არ ავიწყდებოდა და ალბათ არც დღეს ავიწყდება ლენინის ანდერძი რომ გზა ბერლინისკენ კალკუტაზე გადის და თუ მას სურს თავისი ნება-სურვილი ევროპის ქვეყნებს თავს მოახვიოს აზიის ქვეყნები ხელში უნდა ჩაიგდოს, პირველ რიგში ცხადია ჩინეთი... რომლისგან მოსკოვს შეუძლია მიიღოს უამრავი ეკონომიური რესურსები თავის მიზნების განსახორციელებლათ...

იალტამ შეუქმნა მოსკოვს სფერო გავლენისა და ეს სფერო გადაიქცა იქ მოქცეულ ერთა საპყრობილეთ. მოსკოვის საწველ ფურათ, რის გამო საფრთხე საბჭოთა რუსეთის აგრესიისა ევროპას კარებზე მოადგა, რამაც თავისუფალი ქვეყნები ფეხზე დააყენა, თვდაცვის მოწყობას შეუდგა... ასეთივე საფრთხის მოახლოება იგრძნო ერთა კავშირში შემავალ თავისუფალ ერებმა, მოსკოვის მოწოლას და თავისუფალ კორეაზე თავდასხმას დარაზმული ჯარებით შეგვდა... საქვცნოთ იქნა აღიარებული სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ, რომ თავდამსხმელი იქნებოდა დასჯილი, რომ მოხდებოდა კორეის

ერის სხეულის გამთელება, მისი სუვერენული უფლების სრული აღდგენა.

ამ დაპირებებით აღფრთოვანებული თავისუფალი კორეა გმირული წამებით იტანდა ომისგან მიყენებულ ჭრილობებს, მოსულ განმათავისუფლებელ ჯარებს გვერდში ამოუდგა და შემოსეულ მტერს მდგრათ ეკვეთა...

კორეის მიწაზე მოხდა შეხვედრა ტოტალიტარულ ძალდობასა და თავისუფლების მატარებელ ძალებს შორის, პირველის წინაშე მართლა აღიმართა ურყევი ნებისყოფა მებრძოლ დემოკრატიისა, — საბჭოთა იმპერიალისტურ წინსვლის შესაჩერებლათ. სამი წლის მანძილზე ბრძოლამ მოსკოვს დაანახვა, რომ მის განზრახვებს მომავალში წინ გადაეღობება თავისუფალ ქვეყნების შეკავშირებული ძალა... მაგრამ ქვეყანა, რომლის ზურგზე გადაიარეს ომის ტალღებმა, სადაც შეჩერებისა და თავდაცვის პოლიტიკამ თავისი გამოხატულება ჰპოვა, დარჩა იმავე მდგომარეობაში როგორც იყო ამ სამი წლის წინად.

თავისუფალ ქვეყნების პრესა მორცხვად აღნიშნავს თავის გამარჯვებას, რადგან კორეის მიმართ საქვეყნოთ განცხადებული დაპირება ჰაერში დარჩა გამოკიდებული, კორეა ორად გაგლეჯილი, აოხრებული, განაწამები უცდის მომავალ პოლიტიკურ კონფერენციის განაჩენს, — რომლის მოწვევა ეჭვის ქვეშ არის დაყენებული. კორეის ბედის გადაჭრა უკვე დამოკიდებულია ორ ბანაკთა შორის არსებულ დიდპრობლემათა მოგვარებასთან. სხვა მრავალ საბუთთა შორის საკმარისია მოვიხსენიოთ კონსერვატორულ გაზეთ «ოხსერვერი» ს (იხ. 218), რომელიც გამოხატავს არა მარტო ერთ გავლენიან მოკავშირის აზრს, არამედ იგი არსებითათა განიარებულია სხვებისგანაც: «კორეიაში მომხდარი დაზავების ნაყოფი ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ, კორეაში ომის დათავებით გაჰქრა ის ფსიქოლოგიური დაბრკოლება, რომელიც ხელს გვიშლიდა საბჭოთა რუსეთთან დაახლოვებას. ომი აშორებდა ერთი-მეორეს დასავლეთსა და საბჭოთა რუსეთს, რომელთაც ეხლა შეუძლიათ ეძებონ მოთანხმების ნიადაგი, საამისო პირობების შექმნა უფრო შესაძლებელია ევროპაში ვინემ აზიაში. ამას ხელს უწყობს დაზავების შემდეგ შექმნილი პოლიტიკური ატმოსფერა»... გერმანია-ავსტრიის, ინდო-ჩინეთის საკითხების მოგვარებისთვის მოსკოვს ოთხთა კონფერენციაზე ეპატიუებიან, მოსკოვი ფეხს ითრევს, მიზეზობს, ცდილობს მოსალოდნელ მთავარ კონფერენციაზე თუ მოლაპარაკების დროს ჩინეთი გვერდში ყავდეს, რათა თავისი პოზიციები და კორეის ერთ ნაწილში შენარჩუნებული გავლენა ჩინეთის საშუალებით გაამაგროს... ამ დიპლომატიურ ჭიდილს შემყურე კორეა უცდის დიდთა შორის მოლაპარაკებისა და მოთანხმების შედეგს, დღევანდლამდე კი მიღწეული შედეგები არა თუ არ აკმაყოფილებს ამ პატარა ერის სასი-

ცოცხლო მოთხოვნილებას, პირიქით მისი ახლო მომავალი ბურჟუაზიით არის მოცული. იქიდან მოსულ ცნობების შემწეობით ვეცნობით, რომ კორეა განიცდის უდიდეს ნერვიულობას. შეფთოვას, ომის განახლების საშიშროება მას თავს დასტრიალებს, თითოეული კორეელი თავის გულში ნატრობს მისი მიწა-წყლის ორივე ნაწილიდან უცხო ჯარების გასვლას. რათა საკუთარი ძალებით თუნდაც იარაღით ხელში მოახდინოს ერის სხეულის გამთელება...

კორეის ტრაღედია, მისი ადრინდელი ბედის ხვედარი იქ ორ ძალთა გავლენის დატაკების გამო მძიმე მაგალითის მომცემია, მისი გაკვეთილი დამაფიქრებელია იმ ერთათვის, რომელნიც თავის ეროვნულ განთავისუფლებას თუ სუვერენულ უფლებების უზრუნველყოფას ყოველის შემძლე დიდთა და ხმარებით ფიქრობენ.

იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ თავისუფალი კორეა, რომელიც იბრძოდა ერთა კავშირის მფარველობის ქვეშ, იპოვის თავის უფლებების აღდგენას და შევა ერთა ოჯახში გაერთიანებული, სუვერენული და თანასწორ უფლებიანი წევრი...

პ. ხარჯველაძე.

3 ი ძ ბ რ ჰ ი უ მ ო .

პარიზის პანთეონში განისვენებს საფრანგეთის დიდი შვილი, მე-19 საუკუნის ბუმბერაზი, ვიქტორ ჰიუგო: გამოჩენილი მგოსანი, რომანისტი, დრამატურგი, და ბოლოს ცხარე რესპუბლიკანელი (სოციალისტური ელფერიით), ნაპოლეონ მესამის გამეფების გამო გაზიზნული, ლტოლვილათ ქცეული...

მისმა სამშობლომ აღნიშნა 1935 წელს მისი გარდაცვალების 50 წლის თავი *) და შარშან კი იზეიმა 150 წლის თავი მის დაბადებიდან.

ამისთვის ჩვენ კვლავ განვიზრახეთ გაგვეხსენებია მკითხველისათვის ეს ფრიად შესანიშნავი ადამიანი. მარა წინდაწინ უნდა ვამხილოთ მკითხველი, რომ ვ. ჰიუგოს სრული დაფასება აქ არ არის შესაძლებელი და საზოგადოთ მისი სათანადო დაფასება ჩემს ძალას აღემატება. ეს არის მხოლოდ და მოკლეთ გავიხსენოთ ეს დიდი პიროვნება, ვისაც მთელი საფრანგეთი და თითქმის მთელი მსოფლიო პატივს სცემს.

ვ. ჰიუგოს ცხოვრება წარმოადგენს ერთ მშვენიერს და დიდ ფილმას. მას არ აკლია შინაური, ოჯახური სცენები, მრავალფეროვანი პეიზაჟები, სიყვარულისა და სახელის-მო-

*) იმ დროს ჩვენ უკვე გვქონდა მასზე მოკლე ბაასი და ბუნებრივია, თუ ამ შრომაში ჩვენ მოგვიხდეს ზოგი ნათქვამის განმეორება. ა. ქ.

ბევქის ეპიზოდები, იდილია და ბრძოლა; აქვე ვხედავთ ბურჟუას, სხვადასხვა სალონებს, მსახიობთ, პოლიტიკოსებს და გვირგვინოსნებს; აქვეა აკადემიაც და სპირიტუზმიც კი...

ჰიუგოს ხანგრძლივ სიცოცხლეს (83 წელი) უნაყოფოთ არ ჩაუვლია და უკანასკნელ წუთამდის მას კალამი ხელიდან არ გაუგდია და ღრმა მოხუცის ნაწროში არ არის ნაკლები ღირსების, ვინემ ახალგაზრდობისას ნაწერი. აღსანიშნავია, რომ ჰიუგოს ნიჭი განსაკუთრებით ყვავის მას შემდეგ, რაც იგი 50 წელს გადაშორდება.

ვ. ჰიუგო, როგორც მწერალი იყო დოვლათიანი და ზედმიწევნით ნაყოფიერი. მისი ნაწარმოები წიგნების მრავალ ტომთა მთას წარმოადგენს. საფრანგეთის ლიტერატურაში ამ მხრით მას მხოლოდ ვოლტერი თუ შეედრება. მარა ამ უკანასკნელის ნაწარმოები უმთავრესათ კრიტიკული ხასიათის არის, ჰიუგო კი უფრო შემომქმედ მწერალთ ეკუთვნის. ამ არაჩვეულებრივ ადამიანის შრომის უნარი სწორეთ რომ საარაკოა და მით უფრო საარაკოა, როცა შრომის რაოდენობასთან შეერთებულია თვისება, თვისება მაღალი ღირსებისაა. ჰიუგოს ნაწარმოები ულამაზესი და უმშვენიერესია პოეზიის მხრით, მის ლექსებს საფრანგეთის ლიტერატურაში ტოლი არა ყავს. რაც შეეხება პროზას, ჰიუგოს განცვიფრებაში მოყავდა ისეთი მწერალიც, როგორიც იყო მორის ბარესი, რომელიც, სხვათა შორის, მის აზრებს არ იზიარებდა. რაც ვ. ჰიუგოს ღვთაებრივ კალმიდან გამომდინარეობს არის დიადი და დასრულებული. იგი გენიოსია. ძლიერ ვწუხვარ, რომ უადგილობის გამო მე არ ძალმიძს ციტატების საშუალებით დავამტკიცო ნათქვამი.

როგორ დაფასდა და როგორ აფასებენ მას დღესაც? პარადოქსალური მოვლენაა, მარა საფრანგეთის ლიტერატურის ამ დამამშვენებელს ბევრი მოპირდაპირე, უარყოფითი კრიტიკოსი ყავდა და დღესაც ყავს. რა თქმა უნდა, ყველასი დამკაყოფილება შეუძლებელია: ერთს ლექსთა წყობა არ მოსწონს, მეორეს მისი კეთილშობილური აზრები. ზოგ პოეტს შური ალაპარაკებს, რადგან ჰიუგოს ჩრდილში ისინი ფანტომებათ მოსჩანან ხოლმე. ჰიუგოს ნაკლულოვანება? დიას, როგორც ყოველი ადამიანი, უნაკლო არც ჰიუგო იყო. მის ნაწერებს აქვს უარყოფითი მხარეებიც; მარა ეს ნაკლი უჩინარია იმ თვალწარმტაც ზღვაში, რასაც ჰიუგოს მთლიანი ნაწარმოებნი წარმოადგენენ. მისი ნაკლია უთუთო მრავალსიტყვიანობა, ვერბალიზმი. ჰიუგოსთვის «გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის» არ არსებობს. ის ზშირათ და ძლიერ ვრცლათაც ჩერდება ხოლმე ისეთ «საგანზე», რომელიც უკვე ამოწურულია, უკვე განმარტივებულია; მარა ის კვლავ განაგრძობს განმარტებას. ამით იგი მკითხველს არ კარგავს, ვინაიდან ეს «ზედმეტი» განმარტება გაქლენთილია სილამაზით და ესტეტიურ სიტკბობებს ანიჭებს მკითხველის სულსა და გულს! არიან

30265



ისეთებიც, რომელთაც ჰიუგოს სახელის გახსენებაც არ სურთ. ერთმა ცნობილმა აკადემიკოსმა (კლოდ ფარერი—მემარჯვენე) საფრანგეთის ამ დიდებას 15 წლის წინეთ «მტერი» უწოდა! რა თქმა უნდა, ასეთი «აზრი» თვით მის ავტორს თუ დაამცირებს. თორემ ჰიუგოს ვერას დააკლებს. ჰიუგო ისეთი მეფეა, რომლის ტანტს ვერ შეარყევს ვერც ადამიანი და ვერც დროთა ვითარება!

მისი მქირდავები განსაკუთრებით «პატრიოტები» ს, უძირა «პროფესიონალური პატრიოტები» ს. ბანაკში იმყოფებიან და ეს არც გასაკვირია. თვითონაც კარგად იციან—მე ვფიქრობ—რომ ჰიუგო საფრანგეთის სახელი და სიამაყეა, რომ პოეტი სასტიკათ ებრძვის ტირანი. მეორე იმპერიას (რომელმაც ის სამშობლოდან გააძევა), რომ ჰიუგო იყო პაციფისტი და გულწრფელი მებრძოლი რესპუბლიკანელი. ყოველივე ეს იმ დროს დიდი ღირსება და გამბედაობა იყო—და აბა როგორ გინდათ, მისმა მოწინააღმდეგებმა ეს მოინებონ და თავისუფლები მოტრფიალეს აპატიონ მისი აზრები?

მაგრამ ჰიუგოს არ ყავს მხოლოდ მქირდავი მტერი, მას ყავს უფრო მეტი მოყვარე და მადიდებელი, უთვალავი თაყვანისმცემელი. ასეთები არიან მწერლები, ლიტერატურული კრიტიკოსები, და, რაც მთავარია, მასთან არის ხალხი, რომლის გულის სიღრმეს ის წვდებოდა ხოლმე.

თანამედროვე ცნობილი პოეტი ფ. გრეგ (დღეს აკადემიკოსი) ამბობს, რომ არსებობს დიდ ხელოვანთა ორი დიდი კატეგორია: პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ისინი «რომელიც—როგორც ყველი—ძალდაუტანებლათ იფურჩქნებიან ადამიანის ბუნებისაგან, ძე ქალისა, მათ სულში რაღაც ღვთაებრივ დედაკაცური ბუდობს; უმალღესი, საუცხოვო, ხშირათ ღრმა გონების მატარებელნი, ისინი არიან ნამდვილი გამომხატველი მათი გვარის, ჯიშის და სამშობლოსი; მაგრამ მათი ნაწარმოები—რაც უნდა მშვენიერი იყოს ის—რჩება ადამიანურ შესაძლებლობის ფარგლებში».

მეორე კატეგორიას ეკუთვნიან უზენაესი გენიოსები; საუცხოვო მამაცური ალით აღვსილნი «ქმნიან». ესენი ჭარბობენ კაცობრიობას მათი ნაწარმოებით არა თუ მხოლოდ თვისებით, არამედ მათი რაოდენობითაც, წონითაც და განსაკუთრებით იმ ანდერძით, რომელსაც მათი ნაშრომი გვიტოვებს და რომელიც შეიცავს რაღაც ზედმიწევნით კაცობრიულს.

და აი, მართლაც ისეთ დიდ ხელოვანთა გარდა, როგორიც არიან ლეიფური ნიჟით დაჯილდოვებულნი: სოფოკლები, ვირგილიები, რაფაელები, მიცარტერი და ლამარტინები, ჩვენში აკაკი და ილია,—არსებობს და მეფობს მშვენიერების გიგანტთა მთელი წყობა, ბუნების ძლიერება, როგორიც არიან მაგალითად: პომერი, დანტე, შექსპირი, რამბრანდტი. მიქელ ანჯელო, ტოლსტოი, ვაგნერი, რუსთაველი, ბეტჰოვენი, რომელნიც ერთდამავე დროს არიან ძლიერნი და ნაზნი, რო-

მელთა გულში ბუდობს ძალა და სიყვარული,—არიან კაცობრიობის იმედი დამისი საუკეთესო მომავალის საწინდარნი.. არ იქნება დიდი ვაბედულობა ითქვას: ასეთ წყობას უნდა მივაკუთვნოთ ვიქტორ ჰიუგო, ჰიუგო მწერალი და პოეტი.

ცნობილია, რომ გამორჩენილმა კრიტიკოსმა სენტ-ბევმა —სანამ ის ჰიუგოს დაეუბრებოდა—რომანტიკოსების სახელით უძღვნა პოეტს რონსანის თხუზულებანი ზედ წარწერით: «ლირიკის უუდიდეს შემქნელს პლეიადის შემდეგ»^{*)}. ამით კრიტიკოსს უნდოდა ალბათ აღეარებია, რომ პოეტი იყო მრავალ სტროფების მქედელი. მაგრამ ჰიუგომ გამოიგონა არა მარტო სტროფების ფორმა, მან შესძინა ფრანგულ ლირას ახალი მუსიკა; კერძოთ მან შექმნა ფრანგული თანამედროვე ლექსი. მან გამოიღო კლასიკური ლექსი და გარდაქმნა იგი, შესძინა მას სხვადასხვაობა, გამოსქედა, ჩამოასხა, გაასალაშინა, გამოასწორა და ბოლოს დააგვირგვინა რითმების სიმშვენიერით. ჰიუგომდის ლექსი იყო მელოდია, მან ის სიმფონიით აქცია!

შემდეგ თავის თეორიით «თავისუფლება ხელოვნებაში», «რაც კი არის ბუნებაში, არის ხელოვნებაში», ჰიუგომ მოამზადა და შემოიღო—პარალელურათ დიდ ბალნაკთან—ნატურალიზმი, რომლის წინამორბედი იყო მისი ცნობილი რომანი შედევრი «Miserables», რამაც—შეიძლება ითქვას—შთაავრანა, რაც კი არის ეპიკური ემილ ზოლასში. დაბოლოს მის გავლენას ვაპულობთ სიმბოლიზმშიც, რომლის ინიციატორები იყვნენ ჰიუგოს შეგირდები: ბოდლერი, რიმბო, ვერლენი და მალარმე.

(დასასრული იქნება)

ანტონ ჟორჟოლიანი.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა.

ორი კონგრესი.

გასულ სექტემბერში ინგლისის მუშათა კლასის ორ უძლიერეს ორგანიზაციის კონგრესს ჰქონდა ადგილი. ერთი იყო ტრედიუნიონების კონგრესი, რომელზედაც 900 დელეგატი 8.000.000 წევრს წარმოადგენდა. ამ ყრილობის მთავარ ყურადღებას იპყრობდა ინგლისის ეკონომიური მდგომარეობის და მუშათა ცხოვრების გაუმჯობესობის საკითხები. განსაკუთრებით ხაზი ესმებოდა და დელეგატები საბუთებით ხელში ნათელყოფდნენ ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობას და ექსპორტის დონის არასაკმარისობას. მთელ რიგ დელეგატებისას და თვით ტრედიუნიონებს გენერალურ საბ-

^{*)} ფრანგულმა პოეზიამ (ჰანრი მესამის დროს) პლეიადის სახელი უწოდა შვიდს, როგორც იყვნენ: რონ სარი, დიუ ბერე, რაბელო, ჟოდენ, დორა, ბაიფ და პონტუს დე ტიარ. ა. ე.

ქოს შემოქონდათ რეზოლიუციები და მოითხოვედნ შრომის ნაყოფიერების გაძლიერებას და საექსპორტო საქონლის ფასების შესაფერისად შემცირებას.

კონგრესის დიდ უმრავლესობამ უარყო მემარცხენე ფრთის წინადადება—ნაციონალიზაცია ეხლავე გავრცელებულიყო მრეწველობის ყველა დიდ დარგებში. ტრედიუნიონები პრინციპში, რასაკვირველია, ნაციონალიზაციის მომხრენი არიან და სასტიკ წინააღმდეგობას აცხადებენ, რომ მთავრობამ უკვე ნაციონალიზაცია ქმნილ წარმოების დენაციონალიზაცია მოახდინოს. მაგრამ ისინი აუცილებლივ საჭიროებათ სთვლიან გაირკვეს, თუ რა შედეგებს იძლევიან ნაციონალიზაცია ქმნილი წარმოების სხვადასხვა დარგები და ამისდა მიხედვით გადადგან ესა თუ ის ნაბიჯები.

ასეთივე სალი გონებით უდგებოდნ კონგრესზე საგარეო საქმეთა საკითხებსაც. კონგრესმა 5—6 მილიონი ხმის უმრავლესობით უარყო მემარცხენეთა წინადადებები, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ შორის ვაჭრობის და გაცვლა-გამოცვლის არსებული შეზღუდვა მოშლილიყო, დიდი ბრიტანეთი გამხდარიყო მესამე ძალათ, რომელიც საბჭოთა კავშირის და ამერიკის შორის ნეიტრალური იქნებოდა და სხვა.

მეორე კონგრესი იყო ორმოცდამეთორმეტე წლიური ყრილობა ინგლისის მუშათა პარტიისა. ამ ყრილობაზე პარტიის 1.250 დელეგატით იყო წარმოდგენილი. პარტიას დღეს 6.108.000 წევრი ჰყავს, ამათ შორის მის მთავარ ჯარს—დაახლოვებით 5.072.000 წევრს—ტრედიუნიონები შეადგენენ; კერძო, ინდივიდუალური წევრებია 1.015.000, სხვები კი კოოპერატიული ორგანიზაციებიდან შედიან. მხოლოდ გასული წლის განმავლობაში პარტიას 258.657 წევრი შემატებია. პარტიის აღმასრულებელი კომიტეტი დღეს 28 წევრისაგან შედგება: ამათ შორის 14 ტრედიუნიონთა წარმომადგენელია, 7 სხვადასხვა რაიონებიდან ინდივიდუალურ წევრთა ორგანიზაციებს წარმომადგენენ, 5 ქალთა ორგანიზაციებიდანაა, 2 კი, ex-officio, პარტიის ლიდერი ატლი და მისი თანაშემწე—ჰერბერტ მორისონია.

ყოველ წლიურად იკრიბება, როგორც ტრედიუნიონების, ისე მუშათა პარტიის კონგრესი და მათი დღის წესრიგი, განსაკუთრებით კი ეკონომიურ და მუშათა კლასის საკითხებში, თითქმის, ერთი და იგივეა. და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ორი კონგრესის მთავარი შემადგენლობა მოდის ტრედიუნიონებიდან, ადვილი გასაგებია, რატომ მათი დადგენილებებიც ყველა საკითხებში არსებითად ანალოგიურია.

რეზოლიუციები, რომელნიც წარმოდგენილი იქნენ კონგრესზე მემარცხენეების, ბევანის მიმდევრების მიერ ენებოდნ ნაციონალიზაციას, შეიარაღებას, სამხედრო სამსახურის

ვადას, ამერიკასთან და საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულებას, თუ სხვა რაიმე მნიშვნელოვან საკითხებს. ყველანი კონგრესის დიდი უმრავლესობით უარყოფილ იქნა.

კონგრესმა დაადგინა მხარი დაუჭიროს ჩრდილო ატლანტიკის პაქტს, მკვიდრი კავშირი იქონიოს ამერიკასთან და ცხოვრებაში გაატაროს თავდაცვითი პროგრამა კოლექტიურ უზრუნველსაყოფად.

კონგრესი მწუხარებას გამოსთქვამდა, რომ საბჭოთა რუსეთი დღემდე ხელს უშლის გერმანიაში მოხდეს თავისუფალი არჩევნები, რასაც შედეგათ უნდა მოყვეს ერთი მთავრობის შედგენა და გერმანიის გაერთიანება.

საპარლამენტო არჩევნები.

(გერმანიაში, დანიაში, ნორვეგიაში)

დასავლეთ გერმანიის საპარლამენტო არჩევნებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა სექტემბრის პირველ რიცხვებში, დიდი გამარჯვება ხვდა ადენაუერის პარტიას—ქრისტიანულ დემოკრატებს. მათ ამ არჩევნებში 12.000.000 ხმა მიიღეს და ბუნდესტაგის 487 დეპუტატიდან 244 თავისი წარმომადგენელი გაიყვანეს. ამნაირად მათ დღეს ბუნდესტაგში აბსოლიუტური უმრავლესობა ყავთ.

მეორე დიდ პარტიამ, სოც.-დემოკრატია 8.000.000 ხმა მიიღო (ერთი მილიონი ხმით მეტი, ვიდრე წინანდელ არჩევნებში) და 150 დეპუტატი გაიყვანა. მისი მდგომარეობა დღეს კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ ის ამ დროებით ევროპიული ჯარის შექმნის და ევროპის ერთობლიობაში შესვლის წინააღმდეგი არ ყოფილიყო, ამით მოწინააღმდეგეთ არ ესარგებლათ და არსებითად კომუნისტების ეს სასტიკი მოწინააღმდეგე პარტია დემაგოგიურად მათ მონათესავეთ არ გამოეცხადებიათ.

არჩევნებში დამარცხება განიცადეს ქრისტიანულ დემოკრატებთან კოალიციაში მყოფ ორ პარტიამ—ლიბერალ დემოკრატებმა და გერმანულ პარტიამ, მაგრამ სავსებით განადგურებულ იქნენ—ორი უკიდურესი დაჯგუფება—კომუნისტები და ნაციისტები. მათ ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანეს, თანაც კომუნისტებმა 600.000-ზე მეტი ხმები დაკარგეს.

უკიდურეს ელემენტებმა არა ერთჯერ მიიყვანეს გერმანია კატასტროფის კარამდე. წარსული შეცდომები კარგად შეიგნო გერმანიის ხალხმა და ამით გვიჩვენა მისი პოლიტიკური სიმწიფე.

სექტემბერშივე მოხდა საპარლამენტო არჩევნები დანიაში. იქ შესწორებულ იქნა ძველი კონსტიტუცია და ამ შესწორებულ კონსტიტუციის ნიადაგზე აირჩიეს ახალი პარლამენტი (ფოლკეტინგი). მეორე პალატა (ლანდსტინგი) სავსებით გაუქმებულ იქნა.

ამ არჩევნებში სოც.-დემოკრატებმა 895.038 ხმა მიიღეს

(ამრჩეველთა 41 პროც.) და 74 დეპუტატი გაიყვანეს (ფოლკტინგი სულ 179 წევრისაგან შესდგება). წინანდელ კოალიციურ მთავრობაში მყოფ პარტიებს—ლიბერალ ფერმერებს და კონსერვატორებს—ორივეს ერთად 72 წარმომადგენელი ყავთ. სოციალ ლიბერალებს სოც. დემოკრატებთან ბევრი რამ აქვთ საერთო საშინაო პოლიტიკაში და განზრახვა იყო ამ ორ პარტიას შეედგინა კოალიციონური მთავრობა. მაგრამ საგარეო პოლიტიკაში ისინი სხვადასხვა პოზიციებზე დგანან, სოციალდემოკრატები ჩრდილო ატლანტიკის პაქტს უჭერენ მხარს, სოციალ ლიბერალები კი ამის წინააღმდეგი არიან, ამიტომ სოციალ ლიბერალებმა უარი სთქვეს სოც.-დემოკრატებთან მთავრობაში შესვლაზე. ამას შედეგათ მოყვა სოც.-დემოკრატების მიერ უმცირესობის მთავრობის შედგენა პარტიის ლიდერის—პედტოფტის თაემჯდომარეობით.

კომუნისტებმა, თუ ლიბერაციის შემდეგ 1945 წლის არჩევნებში ამრჩეველთა ხმების 12 პროცენტი მიიღეს. ესლა კი 4,3 პროცენტამდე ძლივს მიაღწიეს.

სკანდინავიის მესამე ქვეყანაშიდაც—ნორვეგიაში დღეს მთავრობა სოც.-დემოკრატების ხელშია. 12 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მუშათა პარტიამ სტორგინგის 150 წევრიდან 78 დეპუტატი გაიყვანა და მას იქ აბსოლუტური უმრავლესობა ყავს. ამას თვით სოც.-დემოკრატებიც არ მოელოდნენ. მართალია ისინი უკვე ოცი წელია მთავრობაში არიან, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებში ხმების აბსოლუტური უმრავლესობა წინეთ მათ არ ქონიათ; 1945 წელს მათ მიიღეს ხმების 41 პროც., 1949 წელს კი 45 პროც. საარჩევნო კანონი დღემდე სოც.-დემოკრატებს პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებდა, მიუხედავთ ამისა ეს კანონი იქნა შეცვლილი თვით სოც.-დემოკრატიულ საპარლამენტო ფრაქციის წინადადებით. ამ ახალი საარჩევნო კანონის მიხედვით მოხდა არჩევნები და ესლაც გამარჯვება მუშათა პარტიას ხვდა. ეს გამარჯვება შედეგია უთუოდ ამ პარტიის საღი ეკონომიური პოლიტიკისა. მიუხედავთ იმისა, რომ ქვეყანა დიდი ომის ხანაში დიდად დაზარალებული და თითქმის განადგურებული იქნა, ლიბერაციიდან დაწყებული დღემდე მუშათა პარტიის მთავრობამ დიდი კონსტრუქტიული მუშაობა აწარმოვა: სახელმწიფოს შემოსავალი ერთი ორათ გაიზარდა, მოხდა ფასების ერთნაირი სტაბილიზაცია, მოიმატა მუშათა ხელფასმა, განვითარდა წარმოება, გადიდდა შრომის ნაყოფიერება და სხვა. მთელი ერის, თუ მუშათა კლასის მდგომარეობის ამ გაუმჯობესების შედეგია აგრეთვე ისიც, რომ კომუნისტური პარტია დღეს ნორვეგიაში არარაობას წარმოადგენს, 12 ოქტომბრის არჩევნებში მან 3 დეპუტატი ძლივს გაიყვანა და დაკარგა 10 პროც. ხმებისა, რომელიც მან ამ ოთხი წლის წინეთ მიიღო.

Z.

„ერთი თვითგამორკვევის და კერძო“

ამ სათაურით ნიუ იორკში ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოცემულ ჟურნალ «ჩვენი გზა»-ში მოთავსებულია ილია გოლდმანის სიტყვა, რომლის შინაარსი მოგვყავს შემოკლებით:

«რა მნიშვნელობა აქვს თვითგამორკვევის უფლებას, თუ ეს უფლება იქვე შეზღუდულია სხვა ნორმებით და თუ თვით ეს უფლება და მათი გადაწყვეტა გადადებულია განუსაზღვრელი დროით. ბოლშევიკებიც ცნობენ ერთა თვითგამორკვევას თვით გამოყოფამდე, მაგრამ იმავე დროს ართმევენ (ერებს) პრაქტიკული მოქმედების საშვალებას ამ უფლებათა განხორციელებისთვის.

ბოლშევიკების კვალს მისდევს ბატონი კერენსკიც, როდესაც იგი აღიარებს, რომ: «ეს უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი ტერიტორია განთავისუფლდება კომუნისტური ულლისაგან» და 2) «ერების ახალი თავისუფალი და სახალხო სურვილის გამოძღვანების შემდეგ» ა.

თუ ამ განცხადებას გავშიფრავთ. გამოდის ისე, რომ, მაგალითად, საქართველომ ან უკრაინამ ძალიანებულა თუნდა უცადოს იმ მომენტს, სანამ უზარმაზარ საბჭოთა იმპერიის უკანასკნელი ჰექტარი მიწა არ განთავისუფლდება!.. ამ ცდის ხანაში მათ არავითარი «ახალი თავისუფალი და სახალხო სურვილის გამოძღვანების უფლება არ ექნება. ეს იგი, ერებმა მოთმინებით თუნდა უცადონ სანამ კომუნისტები საბოლოოდ გაჰქრებიან და დაემორჩილონ «ედინაია ნედელიმია» ხელისუფლებას...

მაგრამ რაც არ უნდა ლიბერალური იყვეს ცენტრის და მოკიდებულება ეროვნებათა მიმართ, სულ ერთია, ძალაუფლება მაინც ცენტრის ხელში იქნება.

დაუშვათ, რომ ცენტრის ხელისუფლება არ იქნება ლიბერალური ეროვნებათა მიმართ. რა საშუალება მიენიჭებათ ამ შემთხვევაში მაგალითად შევიწროებულ ერებს? მიეცემათ თუ არა უფლება მიიღონ დახმარება თავისუფალი მსოფლიოსაგან. ან მაგალითად შეერთებული შტატებისაგან? ექნებათ თუ არა უფლება ერებს გაერთიანებული ერებისაგან მოითხოვონ დახმარება? რასაკვირველია არა! აი აქ არის მთელი ჩახლართული აზრი ჩამალული, რომელსაც ბატონი კერენსკის პროგრამა იძლევა, რადგან ყოველგვარი ცდა ჩარევისა ერთა კავშირის მხრივ ან ცალკე სახელმწიფოს მიერ, აღბად უარყოფილი იქნება ცენტრის მიერ. ფორმალურად მას ამის უფლება ექნება, რადგან იგი ამ ჩარევას დაახასიათებს, როგორც ჩარევას უცხო სახელმწიფოსას საკუთარ შინაურ საქმეებში!» და სხ...

როგორც ვიცით ამერიკაში არსებობს ორი მთავარი პარტია: დემოკრატიული და რესპუბლიკანური. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მართავდა მას დემოკრატიული პარტია, მისი მებრძოლი პრეზიდენტი ტრუმანის მეთაურობით.

ახალ არჩევნებში გაიმარჯვა რესპუბლიკანურმა პარტიამ და ის მართავს დღეს ქვეყანას პრეზიდენტ ჰაიზენაუერის მეთაურობით.

ორივე ამ პარტიას ქონდა და აქვს თავის განსხვავებული შეხედულებანი საბჭოთა რუსეთის პრობლემაზე და მოქმედებენ თანახმად ამისა. დემოკ. პარტიის უმთავრესი თეორეტიკოსი ამ საკითხში იყო ჟორჟ კენანი, რესპუბლიკანელების — დეჯემს ბერნჰეიმი. მიხედვით ამისა, ამერიკის პოლიტიკურ წრეებში წარმოიშვა სიტყვები: კენანცები და ბერნჰეიმცები.

კენანის შეხედულების მთავარი ხაზი იყო და დარჩა: ტაქტიკა თავდაცვის, ბერნჰეიმის — ტაქტიკა თავდასხმის.

ამას წინეთ ამერიკის გაზეთში დაიბეჭდა ბერნჰეიმის წერილი, რომელმაც დიდი ხმაური გამოიწვია. ეს წერილი შეიძლება ჩაითვალოს პასუხად იმ ზოგიერთი აზრებისა, რომელსაც ადგილი აქვს ამ ბოლო დროს ევროპის ქვეყნების ზოგიერთ წრეებში.

ბერნჰეიმი სასტიკად ილაშქრებს დემოკ. პარტიის ტაქტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ეძახის «მოკავშირეთა ცრუ მორწმუნობით და შიშით გამოწვეულს». კოალიციის ლიდერი (ე. ი. ამერიკა) — სწერს ის — არ უნდა იყოს არც ერთი მისი მოკავშირის მორჩილებაში. მათთვის დათმობით ჩვენ ხელს უწყობთ ბეინების და ნერუს დემაგოგიას. ამერიკამ უნდა აჩვენოს ქვეყნიერებას მაგალითი შეუდრეკელი ენერჯის, რომელიც ურყევად ისწრაფვის მიზნისაკენ და ასეთი თავის სიმტკიცით გაამაგროს მოკავშირეთა სულმოკლეობა. ჩვენ ვებრძვით კომუნისმს თუ გინდ არავინ გამოგვყვეს და მარტო დავრჩეთ. და თუ საჭირო იქნება მარტო წავალთ მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ...

ბერნჰეიმს ბანს აძლევს ამავე პარტიის ლიდერი ყოფილ პარლამენტში, სენატორი სტაილის ბრიდჯესი. მესამე მსოფლიო ომი — სწერს ის «ამერ. მერკურის» — ში — უკვე დიდი ხანია დაწყებულია. ჩვენ მაშინვე შევედით ამ ომში, როგორც კი გათავდა მეორე მსოფლიო ომი. და ის დაიწყო ტოტალიტარული ქვეყნების გადაწყვეტილებით — მოსკონ ერთხელ და სამუდამოდ იღვა თავისუფალი სახელმწიფოების და პარტიის სცემა ადამიანის პიროვნებისადმი. ჩვენი ახალი პრეზიდენტი იქნება — პრეზიდენტი სამხედრო ეპოქის. ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი გადასახადები იქნება ეკონომიკა და გადასახადები სამხედრო დროის. ჩვენი ახალგაზრდობა დარჩება იარაღით ხელ-

ში. ჩვენი პასუხისმგებლობა თანდათან მიძიმე გახდება. ჩვენ ჩათრეული ვართ მსოფლიო ძალების ხანგრძლივ კონფლიქტში, რომელიც არ შეიძლება სხვაფრივ დათვადეს, თუ არა, ან მტრის განიარაღებით, ან ამერიკის განადგურებით. მესამე შესაძლებლობა არ არსებობს. დახვევა ზავისაკენ ჩვენთვის შეუძლებელია. საზოგადოთ არ შეგვიძლია დავიხიოთ. ან უნდა გადავრჩეთ, ან დავიღუპოთ—აი როგორ დგას საკითხი.

გაერთიანება აზიის ყველა ანტიბოლშევიკური ძალების, გამომწვევა ხანგრძლივი სამოქმედო გეგმის კომუნიზმის საბოლოო დამარცხებამდე მთელ მსოფლიოში—აი ჩვენი ერთადერთი გზა...

დიპლომატიური რიტორიკისა და ბუნდოვანი სიტყვების შემდეგ ასეთი სამხედრო ტონით ლაპარაკი პასუხისმგებელი პირებისა და ისიც არა სამხედრო წრიდან, მართლაც რომ ახალი და უჩვეულოა.

არანაკლები მნიშვნელობისაა თვით საგარეო საქმეთა მინისტრის დოღესის სიტყვა, უკანასკნელ ხანებში წამოჭრილ წინადადებების შესახებ. თავისუფალი ქვეყნები—ამბობს ის—საბჭოთა კავშირის მუქარის ქვეშ იმყოფება. საბჭოთა მმართველნი მეტად მტრულად ეპყრობიან ყოველგვარ იდეას, გარდა თავის საკუთარისას. ახორციელებენ რა თავის ძალმომრეობის მიზნებს, მათ არ იციან არავითარი მორალური საზღვარი. ამიტომ მე არ ვხედავ რაიმე საბაბს იმისას, რომ შევანელოთ თუ შევანეროთ ჩვენი საფეროში თავდაცვის დონისძიებანი. ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ჩვენ არ შეგვეძლოს ესა თუ ის შეთანხმება მოვანდინოთ, მარა ასეთ შეთანხმებებთან თავისუფალმა ქვეყნებმა უნდა განაგრძონ მუშაობა თავდაცვის კიდევ უფრო გასაძლიერებლად...

კომენტარიები ზედმეტია.

ცნობილ გაზეთ «ტაიმს»-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი პოლონელ ემიგრანტებზე. მოგვყავს ზოგიერთი საინტერესო ადგილები. ევროპის აღმოსავლეთ და დასავლეთ ბლოკებათ დაყოფის შედეგად—სწერს გაზეთი—ინგლისში გადმოსახლდნენ ათასეული ლტოლვილები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპიდან. ეს ემიგრაცია არის ერთგვად სლავიანური. ეროვნებით კი უმრავლესობას შეადგენენ პოლონელები—136.000 კაცი; უკრაინელები—25.000, რუსები—9.000, ჩეხები—6.000. რამდენიმე ათასი უნგრელები და ბოლგარელები. საერთოდ—180.000 სული.

პოლონელების დიდ უმეტესობას შეადგენენ ჯარის ნაწილები—ასი ათასი კაცი. ყველა ესენი გადმოყვანილნი იყვნენ როგორც მუშები. ეს პოლონური ემიგრანტები შეადგენენ პატარა მასშტაბით მთელ სახელმწიფოს. რომელსაც მეთაურობს პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო. პოლონეთის ეს მთავრობა მიმჩნეულია კანონიერ მთავრობათ, რადგან მათ

კონსტიტუციაში 1935 წელს, შეტანილი იყო მუხლი, რომლის ძალით პრეზიდენტს, განსაკუთრებულ მდგომარეობაში, შეუძლია დანიშნოს თავის მოადგილე საერთო არჩევნების მოუხდენელათ. ამ მუხლზე დაყრდნობით პრეზიდენტმარაკცევიჩმა, სიკვდილის წინ, 1947 წ., დანიშნა თავის მოადგილეთ ავგ. ხალესკი, ყოფილი საგარეო მინისტრი პოლონეთის თავისუფლების დროს. ამან კი თავის მხრით შეადგინა მთავრობა თანამად კონსტიტუციისა.

თითქმის მესამედი პოლონელი ემიგრანტებისა ცხოვრობს ლონდონის ახლო-მახლო მასიურათ, რის გამო იმ მხარეს მიმავალ გზას ხალხი ზედმეტად «პოლონეთის კორიდორს» ეძახის. აქ თავმოყრილია მათი კლუბები, მალაზიები, რესტორანები, რომელთა კლიენტურა ერთავად პოლონელებისაგან შესდგება, პოლონური ოტელები, პანსიონები და სხ. შაბათ-კვირაობით მოდიან პოლონელი ქსენზები წირვა ლოცვისათვის და ამ დღეებში ეკლესიების წინა მოედანზე თავს იყრანათასობით პოლონელები და ერთმანეთს ახალ, თუ სხვა. ამ ბებს უზიარებენ. ასეთივე «პოლონური ქალაქები» არსებობენ ინგლისის სხვა ადგილებშიაც. პოლონელებს უყვართ ცხოვრება «კლანებათ» და ამიტომ ყველა ამ ადგილებში არსებობს პოლონური კლუბები. არის აგრეთვე წმინდა პოლონური სოფლებიც, სადაც ყოფილი სამხედრო პირები და მათი ოჯახობა ცხოვრობენ სრულიად მშობლიურ ატმოსფერაში.

პოლონელების სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მათი ემიგრანტების სრულიად უმნიშვნელო ნაწილი სარგებლობს სახელმწიფოს სუბსიდიებით. ყველა მუშაობს და თავის შრომით აწყობს და აწესრიგებს თავის პირად ცხოვრებას. ყველაზე უფრო ცოდვა არის ინტელიგენტური ნაწილი, რომელთაც უხდებთ მათთვის უჩვეულო შრომა, მარა მათ შორის ბევრია ისეთები (მაგ. ექიმები და დანტისტები), რომლებმაც ჩააბარეს სახელმწიფო ეგზამენები აქაურ უნივერსიტეტებში და მიიღეს პრაქტიკის უფლება არა მხოლოდ თავიანთ თანამემამულეთა შორის.

ყველა ეს ემიგრანტები სარგებლობენ ისეთივე უფლებებით სამოქალაქო სფერაში. როგორც თვით ადგილობრივი მკვიდრნი. შეუძლიათ იმუშაონ იქ სადაც მოისურვებენ და საუკეთესოთ მიიმჩნევენ. ესაა რომ ადგილის გამოცვლა უნდა აცნობონ პოლიციას. ნატურალიზაცია—ძალიან ნელა მიმდინარეობს. ბევრი მსურველი არ ჰყავს. ასეთ დიდ მასაში დღემდე ორიოდე ათასსაც კი არ მიუღია.

ახალგაზრდობის ბედი ბევრათ უფრო კარგია, ვინემ ძველი თაობის, რაც შედეგია იმ დიდი მუშაობის, რომელიც გასწია ე. წ. «პოლონეთის განმანათლებელმა კომიტეტმა». ამ კომიტეტის წყალობით ათასეული ახალგაზრდობა სავსებით მომზადებულია შესაფერი ცხოვრებისათვის თავის ქვეყანაში. დაარსებული აქეთ საბავშო ბალები, პირველდაწყებითი და

საშუალო სასწავლებლები. ამ სკოლების მასწავლებლები მუყაითი შრომით ამზადებენ თავიანთ მოწაფეებს ინგლისური ეგზამენების ჩასაბარებლად. კენსიგტონში არსებობს პოლონური უნივერსიტეტი, რომლის წყალობით ცხრაათასმა სტუდენტმა უკვე მიიღო ინგლისური დიპლომი.

მიუხედავად ასიმილაციის ყოველგვარი პირობებისა, პოლონელები მაინც არ კარგავენ თავის ეროვნულ სახეს. პოლონელი ღეთაებრივ მოვალეობათ სთვლის შეინახოს თავის სამშობლოს საუკეთესო ტრადიციები, რამდენი წელიც არ უნდა დასჭირდეს ემიგრაციაში ცდა თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენამდე... იგი.

სოციალისტური პრესა.

«კომუნისმის შემობტუნება»—ამ სათაურით «Revue Socialiste»-ის ამა წლის ივნისის ნომერში დაბეჭდილია ცნობილი სოციალისტ ლუსიენ მარტენის წერილი, საიდანაც მოგვეყავს ზოგიერთი ადგილები. მარტენი ანალიზს უკეთებს კრემლის ტაქტიკის შეცვლას და ამბობს, რომ მიმომხილველთა უმრავლესობას შეუშინეველი დარჩა ერთი ფაქტი, ის ფაქტი, რომ საბჭოების ახლანდელი პოლიტიკა არის პირდაპირი გაგრძელება იმ მტკიცე და მაგარი პოლიტიკის, რომელსაც ისინი ატარებდნენ გუშინ. ამ პოლიტიკის მიზანი იყო დახმარება და მხარის დაჭერა ტრუმანის და მისი პარტიის მოწინააღმდეგეების. რუსველტის პარტიის დამარცხება იყო მოსკოვის დიდი გამარჯვება. შეერთებულ შტატებში, ისე, როგორც საბჭოთა რუსეთში, ისტორიას ქმნიან არა პირები, არამედ ობიექტიური ძალები. ამერიკის არჩევნები—ეს იყო უეჭველი დარტყმა მემარცხენეებზე, რაც ასე სასურველი იყო მოსკოვისათვის და რასაც ის ყოველმხრივ ხელს უწყობდა.

ამავე დროს, მოსკოვის დღევანდელი პოლიტიკური ტენდენცია მშვიდობიანობისაკენ—არის პირდაპირი გაგრძელება გუშინდელი პოლიტიკის. გუშინ კითხვა ეხებოდა იმას, რომ ამრჩევლის თვალში დაემცირებია ტრუმანის ადმინისტრაცია და ის არჩევნებში დაემარცხებია. ახლანდელი მშვიდობიანი პოლიტიკით კი ის მიზნათ ისახავს მაქსიმალურათ გამოიყნოს მიღწეული შედეგები, რომ ის გამოადგეს საკანონმდებლო დაწესებულებების არჩევნებში, რომელიც მოხდება ამერიკაში 1954 წელს. ამ არჩევნებს პირველხარისხიანი მნიშვნელობა აქვს. რესპუბლიკანელების გამარჯვება ამ არჩევნებში ნიშნავს ტაფტის ტენდენციის გაძლიერებას და გამარჯვებას. ამიტომ მოსწონს ის კომუნისტებს და ხელსაც უწყობს მათ გამარჯვებას. ისე, რომ არც რაიმე სერიოზული დათმობა გაუკეთოს. ასე რომ, საბჭოების ორ ტაქტიკათა შორის არ არის არავითარი წინააღმდეგობა. პირიქით, არის ერთიმეორის გაგრძელება. მალენკოვი აგრძელებს სტალინს.

მღვკავის ანტისემიტისმი.

იმავე ნომერში, იგივე ავტორი, არკვევს მოსკოვის ანტი-სემიტისმის მიზეზებს. რომელიც გამოიხატა ჩეხო-სლოვაკი-ის პროცესში სიონისტების წინააღმდეგ. კომუნისტურ პრესას—სწერს ის—კითხულობენ მხოლოდ კომუნისტური პარტიის წევრები. ბოლშევიკები ბრალს სდებენ სიონისტებს რასიზმში. ქუჩის კაცი დაახლოებით ასე მსჯელობს: «ამ ებრაელებმა ყურები გამოგვიჭედეს პიტლერის დროს, ახლა კი ისინი პატრონი არიან თავის სახელმწიფოსი და სჩადიან იმასვე, რასაც სჩადიოდა პიტლერი. და ეს მართალიც უნდა იყოს, რადგან კომუნისტები ხომ ანტისემიტები არ არიან რომ გამოგონონ ასეთი რამეო». ეს სიტყვიერი განწყობილება შეიძლება ხვალ ანტისემიტისმის ახალი ზრდისა და გაფუფუნების იდეოლოგიურ თემად იქცეს. ხომ არ გადაუტყია საბჭოთა მთავრობას იზრაველი არაბების ქვეყნებისათვის?

ასეთი კამპანიის დასაწყებათ მოსკოვი უცდიდა იმ დროს, როცა დემოკრატების ადმინისტრაცია ადგილს დაუტოლდა რესპუბლიკანელებს ვაშინგტონში. როგორც კი ნაპიბი მოახერხებს ინგლისელი ჯარების სუეცის არხიდან გაყვანას—ამ წუთიდან ანტისემიტურ კამპანიას, დაფუძნებულს იზრავლის რასიზმზე, შეეძლება ხელი შეუშალოს დასავლეთს დაენმაროს თავის საშუალო აღმოსავლეთის საუკეთესო მოკავშირეს. ნიადაგი ამისთვის საკმარისად არის მომზადებული ამერიკის ზოგიერთ წრეებში, რომლებიც ძალიან დაუახლოვდნენ ამ ბოლო დროს თეთრ სახლს. მაგრამ ეს იქნება უდიდესი პოლიტიკური შეცდომა. იზრაველი ყველა ქვეყნებზე უფრო ფრანკოფილი არის. ამავე დროს ეს არის ერთი ქვეყანა, რომელიც, როგორც არ უნდა იყოს მისი გრძნობები, იძულებულია გაჰყვეს დასავლეთის პოლიტიკას. მისი გაქრობა იქნება თავისუფალი ქვეყნებისათვის (განსაკუთრებით საფრანგეთისათვის), უნდათ თუ არ უნდათ, ფატალური.

ახლა დვას საკითხი—ხომ არ ისწრაფვის მოსკოვი, რომ შექმნას ფსიქოლოგიური პირობები ამერიკის არ-ჩარვევისათვის, იმ შემთხვევაში თუ არაბების ქვეყანა თავს დაესხა იზრაველს? ასეთ შემთხვევაში არაბები იპოვიან ძვირფას მოკავშირეებს დასავლეთის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში. ეს მომავლის პერსპექტივაა. მაგრამ ეს მაჩვენებელი შემთხვევა და აღნიშნავს კომუნისმის იდეოლოგიური შესაძლებლობის განსაკვიფრებელ ელასტიობას. მოსკოვის არ უყვარს იზრაველი და ანტისემიტისმი წამოიჭრება, როგორც კი ახალგაზრდა სახელმწიფო გასაჭირში ჩაეარდება და ამ დროისთვის მახე რჩება გამზადებულად...

ი. უ.

შენიშვნა შენიშვნებზე.

«ბედი ქართლისა»-ში (№ 15) დაბეჭდილია ბ-ნ მ. წერეთლის «რამდენიმე შენიშვნა» განსვენებული ნ. ჟორდანიას გამოსათხოვარი წიგნი «ჩემი წარსული»-ს სოკიერთ ცნობებზე.

პირველი მისი შენიშვნა, უეჭველად, სწორია. ნ. ჟორდანიას თვითონ მე ჩამოვიყვანე ლანჩხუთიდან ქუთაისში, თვითონ მე მივიყვანე მის მიერ აწერილი გზით ევ. გეგეჭკორის ბინაზე, საიდგანაც ის საიმედო ამხანაგის თანხლებით წავიდა გ. მაჩაბელის შესახვედრათ და არა მ. წერეთელის, როგორც მას აქვს მოხსენებული.

რაც შეეხება მეორე შენიშვნას—ეს კი იმდენად დაშორებულია ისტორიულ სინამდვილეს და თან ისეთი კომენტარებით არის გადმოცემული ჩვენი პარტიის მიმართ, რომ იძულებული ვართ აღვადგინოთ სინამდვილე თანახმად იმ მასალებისა *) რომელიც ეხება იმ დროს და რომელიც შეიძლება დიდი ხნის გამო მ. წერეთელს აღარ ახსოვდეს დაწერილებით.

კითხვა ეხება ლოზანის მესამე კონფერენციას. ეს კონფერენცია შესდგა 1916 წ., ივნისის 27—29.

ერთი თვით ადრე კიდევ, მაისში, მოხდა ე. წ. «რუსეთის ინაროდცების ლიგის» შეკრება, რომელმაც შეიმუშავა მიმართვა პრეზიდენტ ვილსონის მიმართ. ამ მიმართვას, სხვებთან ერთად, ხელს აწერს ბ-ნი მ. წერეთელი. მიმართვას უფრო საჩივრის ხასიათი აქვს და მისი ავტორნი არავითარ კონკრეტულ მოთხოვნაზე თავიანთი ერისათვის არ აყენებენ. აღნიშნავენ მხოლოდ რუსის მთავრობის მიერ დევნა-შევიწროებას და ითხოვდენ: «დაგვეხმარეთ, გვიხსენით დაღუპვისაგან»-ო.

ლოზანის კონფერენცია მოწვეული იყო იმ «ეროვნებათა კავშირის»-ს მიერ, რომელიც დაარსდა პარიზში 1912 წ., ლიტოველი ნაციონალისტი გაბრისის თაოსნობით.

თუ «ბედი ქართლისა»-ს დაუჯერებთ «მრავალ ერთა წარმომადგენლები, მათ შორის ქართველთა და სხვათა მრავალთა, გაეშურენ ლოზანისაკენ და წარდგენ თავიანთ ერთაგან მიღებული მანდატებით (ხაზი ჩვენია) ამ კონგრესის ორგანიზატორთა წინაშე» და სხ. (№ 10. კ. ლარელი).

ერთად-ერთი ქართველი, რომელიც ამ კონფერენციას დაესწრო იყო ბ. მ. წერეთელი და არ გვგონია მან დაადასტუროს, რომ მას ქონდა მიღებული მანდატი ქართველი ერისა-

*) Alex. Zévaés ყოფილი დეპუტატი საფრანგეთის პარლამენტის, «Faits et documents» გვ. 104. პ. ნ. მილიუკოვი «ნაციონალური საქითხი» გვ. 181, 182. ყარბიბი—წითელი წიგნი» გვ. 237, 238, 139.

გან ამ კონფერენციაზე დასასწრებლად. ამიტომ კ. ლარელის განცხადება «თავიანთ ერთაგან მიღებული მანდატების» შესახებ, უნდა ჩაითვალოს, მეტი რომ არა ვსთქვათ, მისი ფანტაზიის ნაყოფათ.

სხვა წყაროებიდან კი ჩვენ ვიცით, რომ მ. წერეთელი დაესწრო ამ კონფერენციას იმ კომიტეტის სახელით, რომლის შესახებ ბ. გ. კერესელიძე შემდეგს გადმოგვცემს: «1914 წელს ომმა იფეთქა, შევადგინეთ «საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი». წევრები: პეტრე სურგულაძე, ლეო კერესელიძე, მიხეილ წერეთელი, ნესტორ მაღალაშვილი და გიორგი კერესელიძე. გერმანიასთან ხელშეკრულება დავდევით. დაგვიპირდა: დიპლომატიით და მილიტარულათ საქართველოს დამოუკიდებლობას ხელს შეუწყობდა. გვირჩია ოსმალეთის მთავრობასაც მოვლაპარაკებდით, რადგან ჩვენი სამოქმედო ასპარეზი საქართველოს საზღვრებთან, ანუ ოსმალეთის ტერიტორიაზე, უნდა ყოფილიყო. სტამბოლს ლეო კერესელიძე გავგზავნეთ. ოსმალეთმა დახმარება აღგვითქვა და კომიტეტს «ექსტერიტორიალური» სტატუსი მისცა» და სხ. («ბედი ქართლისა» № 9).

ამ კომიტეტს ერქვა არა «დამოუკიდებლობის კომიტეტი», როგორც ახლა სწერენ, არამედ «საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი». მარა ეს სხვათა შორის, რასაკვირველია.

ამ კომიტეტმა მიმართა მის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ ენევის ქართველ სოციალდემოკრატიულ ჯგუფს, რომელმაც უპასუხა შემდეგი:

«ჩვენ, ქართველი სოციალდემოკრატები, წევრნი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა, ვიბრძოდით და ვაგრძელებთ ბრძოლას ჩვენს პარტიასთან ერთად წინააღმდეგ რუსეთის მთავრობისა, რომელიც ახრჩობს ყოველგვარ დემოკრატიულ მოძრაობას მთელ ქვეყანაში და ფეხქვეშ თელავს იქ მცხოვრებ ერების ყოველგვარ ნაციონალურ მისწრაფებებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ყოველგვარ რევოლუციონურ და ოპოზიციონურ მოძრაობას, მათ შორის, ნაციონალურ მოძრაობას, თუ ის მიმართულია რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ და მიზნათ აქვს ამა თუ იმ ერის თავისუფლება».

მაგრამ პასუხათ იმ ორგანიზაციის წინადადებისა, რომელიც მუშაობს გოგენცოლღერების, გამსბურგების და სხ. მფარველობით, ჩვენ ვაცხადებთ ღიათ და საჯაროთ, რომ ჩვენ არ ვიცით ხალხები, რომელნიც მათ მიერ ყოფილიყოს განთავისუფლებული. პირიქით, ერთმა მათგანმა დაანგრია ისეთი პროგრესიული და თავისუფალი ერი, როგორიც არის ბელგია. რაც შეეხება გამსბურგების მონარქიის ისტორიას, ის, ისე როგორც რუსის ცარიზმი, მიზნათ ისახავს დაიმორჩილოს და შეავიწროვოს სხვადასხვა ერები. მათი მოკავშირე ოსმა-

ლეთი ხომ განთქმულია ძალმომრეობით იმ ერებზე, რომლებიც იქ ცხოვრობენ. ყოველივე ამის გამო, ჩვენ უკუვადგებთ აღნიშნული ორგანიზაციის მაცდურ წინადადებას».

როდესაც გაიხსნა ლოზანის ის კონფერენცია, რომელსაც ბ. წერეთელის შენიშვნა ეხება, ენევის ქართველ სოც.-დემ. ჯგუფმა წარგზავნა იქ ვიქტორ თევზაია, რომელმაც თვით კონფერენციაზე გააკეთა შემდეგი განცხადება: «ჩემი თანამოაზრეების სახელით, მაქვს პატივი გაგიცხადოთ, რომ ქართველ ხალხს არავისათვის არ მიუცია მანდატი ილაპარაკოს აქ მისი სახელით. ის იბრძოდა და იბრძვის თავის განთავისუფლებისათვის რუსეთის მოწინავე დემოკრატიასთან ერთად. მას აქვს საბუთი იქონიოს იმედი, რომ ასეთი გზით ის მიახწევს თავის განთავისუფლებას. ვსარგებლობ შემთხვევით მივაქციო კონგრესის და მთელი განათლებული ქვეყნების ყურადღება ოსმალეთის მთავრობის იმ არაადამიანურ საქციელზე, რომლითაც ის ეპყრობა უიარაღო მცხოვრებლებს. შეპყრობილებს ბათუმზე უკახასკნელი იერიშის დროს, რომელთაც ის ხოცავს შიმშილით მცირე აზიაში. ბატონო ჟურნალისტებო. გთხოვთ აცნობოთ ეს ევროპის საზოგადოებრივ აზრს».

აქ მოყვანილი ცნობებიდან მკითხველი თვითონ დაინახავს, რომ სოც.-დემ. განცხადება ამ კონფერენციაზე არც ისეთი ოდიოზური იყო, როგორც შეიძლება მიიღოს მკითხველმა ბ. მ. წერეთელის «შენიშვნები»-დან...

გწ. ურატაძე.

მ. ბ. გეგეჭკორის მოხსენება.

კვირას, 27 სექტემბერს, პარიზის სოც.-დემ. ორგანიზაციის თაოსნობით მოწვეულ იქნა კრება. რომელსაც დაესწრო ბევრი არაპარტიის წევრი ქართველობა. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი, რომელმაც გააცნო დამსწრეთ ეროვნულ საბჭოს აღმ. კომიტეტის მუშაობა; მომხსენებელი შეეხო აგრეთვე საქართველოს მიმდინარე მდგომარეობას.

მოხსენების შემდეგ ამორჩეულ იქნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა შემდეგი რეზოლიუცია:

«იმ ბრალდებათა შორის, რომელსაც ახლა უყენებენ ბერიას მისი სისხლიან საქმეების გუშინდელი მონაწილენი, სხვათა შორის, ასახელებენ მის «ბურჟუაზიულ გადახრას» ნაციონალურ საკითხში საბჭოთა პატარა რესპუბლიკებში.

აქ მოსჩანს კრემლის ახალი პოლიტიკა, რომელიც ისედაც ყოველთვის გამოსჭვივოდა მათ მოქმედებაში, ხოლო ახლა უფრო და უფრო თვალსაჩინოთ; ესაა პოლიტიკა დიდირუსეთის ვაბატონებისა იმ ხალხებზე, რომელნიც მათ ხელ-

ქვეით იმყოფებიან; ესაა ნაციონალურ რესპუბლიკების წმენ-
და—ბერიას მომხრეობის მომიჯნავეებით—ადგილობრივი კო-
მუნისტებისაგან და მათ მაგიერ რუს მოხელეების ჩაყენება
ადგილობრივ რესპუბლიკებში.

ქართველი ხალხისთვის სულ ერთია, რომელ ჩამომავ-
ლობის ჯალათების ურდო დაეპატრონება ცენტრალურ და
ადგილობრივ ხელისუფლებას. მას კარგად ახსოვს, რომ, რო-
გორც 1921 წელს სტალინის წაქეზებით ბოლშევიკური რუსე-
თი საქართველოს შემოესია, ისე 1924 წელს ბერია ერთი იმათ-
განი იყო, ვინც, საქართველოს ხალხის აჯანყების გამო, სი-
სხლეში ჩაახრჩო ათასობით უდანაშაულო ქართველი კაცი და
ქალი, მოხუცი და ბავშვი. ამ სისხლიან კარიერაზე «დაწინაურ-
და» ბერია და მთელი საბჭოთა კავშირის საჯალათოს სათა-
ვეში მოექცა იგი. არა ერთი და ორი სისაძაგლე ჩაუდენია მას
მოსკოვიდანაც საქართველოში.

ქართველი ხალხი არასოდეს ყოფილა და ვერ იქნება მო-
ხიარე და პასუხისმგებელი ამ ჯალათის შავი საქმეების. ამი-
ტომ, თუ ბოლშევიკების მეთაურები ერთი მეორეს დაერიცნ
ურთიერთ შორის ანგარიშების გასასწორებლათ, არა რუს
რესპუბლიკების საერთოდ და საქართველოს კერძოდ. რაიმე
მომიჯნავეებით ამ საქმეში ჩარევა, კიდევ ერთი სააშკარაოზე
გამოტანილი საბუთი იქნება მოსკოვის ბრძანებულთა გამანა-
დგურებელ პოლიტიკისა საზოგადოთ პატარა ერების წინა-
აღმდეგ».

პარტიული ცნობები.

რეზოლიუცია მიღებული ამ წლის 13 სექტემბერს საკო-
ორდინაციო ცენტრის გარშემო მომხდარ ამბების შესახებ:

«საქ. ს.-დ. მ. პ. საზღვარგარეთელ ბიურომ მოისმინა რა
ამხ. ევ. გეგეუქორის მოხსენება მიუნხენის საკოორდინაციო
ცენტრში შექმნილი მდგომარეობის და მომავალი პერსპექ-
ტივების შესახებ, ადასტურებს უკანასკნელ ხანებში ჩატა-
რებულ მუშაობას საკოორდინაციო ცენტრის ირგვლივ და
ადგენს:

1) საქ. ს.-დ. მ. პ. საზ.-გარეთელი ბიურო დგას მის მიერ
იმ თავითვე აღებულ ხაზზე: ყველა ერებთან და მათ შორის
რუს დემოკრატიულ წრეებთან თანამშრომლობის აუცილე-
ბლობის ნიადაგზედ ანტიკომუნისტური ბრძოლის საწარმოე-
ბლათ;

2) საქ. ს.-დ. მ. პ. საზ.-გარ. ბიურო სავსებით იზიარებს
ამხ. ევ. გეგეუქორის მიერ 30 ივლისს 1953 წ. ამერიკულ კომი-
ტეტისადმი გადაცემულ მემორანდუმის დებულებებს და მას-
ში მოცემულ პოლიტიკურ პლათფორმას.»

ქართულ-ამერიკულ ლიგის მოწოდება.

რედაქციამ მიიღო ქართულ-ამერიკულ ლიგის (ნიუ-იორკი) მოწოდება ქართველ ემიგრაციისადმი. სამწუხაროთ, მას ჩვენ მთლიანად ვერ ვათავსებთ; მოვიყვანთ მოკლეთ მის შინაარსს:

ლიგა ასწერს საერთაშორისო მდგომარეობას: ერთი მხრით, ამერ. შეერთებული შტატები «გულწრფელად არის მონდომებული დაიცვას საერთაშორისო ზავი და მშვიდობიანობა» და, მეორე მხრით, მოსკოვის სურს დროის მოგება და ძველ აგრესიულ პოლიტიკის გასაგრძელებლად ქალების შესაფერისად რეორგანიზაცია... ქვეყნიერობის ბედ-იღბალის ცენტრი ევროპიდან ვაშინგტონში გადავიდა. ეს ფაქტი ქართველებმა უნდა მიიღონ მხედველობაში და სათანადო დასკვნები გააკეთონ... ქართულ-ამერიკულ ლიგას, რომლის მიზანია ქართველების და ამერიკელების დაახლოება და ამერიკელებისათვის საქართველოს გაცნობა, უაღრესად საჭიროთ მიაჩნია ქართულ ემიგრაციაში ერთი ხელმძღვანელობის შექმნა... ქართველმა ემიგრაციამ უნდა შექმნას ახალი, ყველა ანტი-კომუნისტური ქართული დაჯგუფებებისთვის მისაღები მეთაურობა, რომელიც გააერთიანებს ყველა აქტიურ ძალებს... დღევანდელ პირობებში ქართულ ძალების დაქსაქსვას მოაქვს უაღრესად მავნე შედეგები...» ამისთვის «ლიგა» მოუწოდებს ქართველ ემიგრაციას «ბოლო მოუღოს ამ დაქსაქსულობას და ყველა აქტიურ ეროვნულ ძალების გაერთიანებით შექმნას ერთი ჰასუხისმგებელი მეთაურობა...»

რედაქციისაგან: ქართულ-ამერიკულ ლიგის მოწოდება უქვეყლია კეთილ განზრახვით არის გამოწვეული. ასეთივე მოწოდება, სულ სხვადასხვა ჯგუფების, ბევრი გვსმენია ყველას ამ 32 წლის განმავლობაში და, სამწუხაროთ, უშედეგოთ. ღმერთმა ჰქმნას, რომ «ლიგის» მოწოდებას უკეთესი ბედი ეწვიოს! ჩვენ ვფიქრობთ, საქმე იმაშია—და ამ გზას ადგება «ლიგაც»—რომ ესენი ფიქრობენ, თითქოს საქმის თავიდან დაწყება, «მეთაურების» ფორმალურად არჩევა, უშველის საქმეს. ჩვენ გვყავს მეთაურობა, გვყავს ეროვნული საბჭო; ფორმა დაცულია. რატომ მათ მხარს არ უჭერენ ზოგიერთი ჯგუფები? არ მოსწონთ მათი საქმიანობა? ეს მეთაურებთან დაჯდომით და არა მათგან განდგომით, მათი დანგრევით, უნდა გამოისწორდეს; საქმე არა არსებულის დანგრევით, არამედ აღმშენებლობითი მუშაობით უნდა იქმნეს დაწყებული: ერთი მეორესთან პრაქტიკულად დაახლოებით, ერთი მეორისადმი ნდობის აღდგენით, ერთი მეორის გაგებით, შეთვისებით და ხელის შეწყობით. როცა ეს მოეწყობა პერიფერიებში, ცენტრის ავტორიტეტი ადვილად დამყარდება და მაშინ იმის გადაკეთებაც ადვილი იქნება, თუ ეს მიინც საჭირო დარჩება. ვეცათოთ ამას.

ლ ა ლ ო ბ ა ძ რ ა ძ ე

სრულიად უდროვოდ გაგვშორდა ამხ. ლაღო ბაქრაძე. სიცოცხლით სავესე იმსხვერპლა ის უკუბრუნებულმა სენმა. ერთ წელზე მეტი იყო ის საავადმყოფოში, ექიმობაც არ დაკლებია, მაგრამ გადარჩენა არ იქნა.

ლაღო არ ეკუთნოდა არალეგალურად მომუშავე, ე. წ. პროფესიონალ რევოლიუციონერთა, კადრს. მისი პირადი ცხოვრების გზა თავიდანვე სხვაგვარად აეწყო: სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში, შემდეგ ოდესის უნივერსიტეტი, აქედან ენევის უნივერსიტეტში, შემდეგ დაბრუნებული ცოტა ხნით სამშობლოში, აქედან მასწავლებლად ბაქოში, რევოლიუციონის შემდეგ ქართული მისიის მრჩეველად პოლონეთში და ჩვენს ქვეყნის დაპყრობის შემდეგ კი, გადმოხვეწილობაში.

როცა ლაღო ეწევიდან საქართველოში დაბრუნდა 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ—ის უკვე სრულიად მომზადებული იყო საზოგადო მოღვაწეობისათვის. განათლებული, აღჭურვილი ღრმა ცოდნით, განსაკუთრებით, სოციალურ მეცნიერებათა დარგში და ყველა თანამედროვე საკითხებზე თავის სერიოზული მსჯელობით რომ საერთო ყურადღებას იპყრობდა.

არა ნაკლებ აინტერესებდა მას მხატვრული ლიტერატურაც და ამ სფეროში ყველაზე მეტად კი ლიტერატურული კრიტიკა. ძლიერ კარგად იცნობდა არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურას, არამედ რუსულს და ფრანგულს. კარგად იცოდა უცხო ენები, რაც კიდევ უფრო უადვილებდა ამ ქვეყნების მწერლების ორიგინალებში გაცნობას.

იდეურად ლაღო იყო მარქსისტი, წევრი საქართველოს სოც. დემ. პარტიისა, რომლის ერთგული დარჩა ბოლომდე. მიუხედავად იმისა, რომ თავის ცხოვრების უმეტესი წლები სამშობლოს გარეთ გაატარა—არ ივიწყებდა ქართულ მწერლობას და ხშირად აწვდიდა პარტიულ განხილვებს წერილებს სხვადასხვა საკითხებზე, უმეტესად ლიტერატურულ თემებზე. პირველი მისი წერილი ორ დიდ ფელეტონად, დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, რომელიც გამოდიოდა ქუთაისში, თბილისში გამომცემის შეუძლებლობის გამო. იმ დროს ჩვენში ხშირად იმართებოდა საჯარო გასამართლება ლიტერატურული გმირები-ჯა, რომელთა შორის პირველი ადგილი ეჭირა ილიას განდეგილს. ზემოთ ნახსენები მისი ორი ფელეტონიც ამას ეხებოდა. წერის უნარმა, ნიჭიერად დაწერილმა და რაც მთავარია, სრულიად ახალი მიდგომით «განდეგილი»-ს გარჩევამ, მოწინავე საზოგადოების საერთო ყურადღება მიიქცია და ეს კიდევაც აღნიშნა ცნობილმა მწერალმა ხომლელმა ერთ-ერთ ქართულ

გაზეთში, თუმცა არსებითად ზოგი მისი მოსახრება არ გაიზიარა. მისი პასუხიც გადმოგვცა მაშინ ლადომ დასაბეჭდათ, მაგრამ, სწორეთ იმ დღეებში გაზეთი დაგვიხურეს, რედაქციის მასალები წაიღეს და ლადოს წერილიც თან გაჰყვა. ლადო შემდეგაც განაგრძობდა წერას ჩვენს გაზეთებში, ხოლო ბაქოში მასწავლებლობის დროს, ახლო მონაწილეობას იღებდა კურნალ «წყარო»-ში, რომელიც იქ გამოდიოდა. ლადო ბაქოში მასწავლებლობასთან ერთად, დიდხანს იყო იქაური ქართული კოლონიის თავმჯდომარეთ.



გადმოხვეწილობაში ლადო ცხოვრობდა უმეტესად სო-შოში, სადაც დიდხანს იყო ადგილობრივ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარეთ. მისი ენერგიული და დაუღალავი მონაწილეობით მოეწყო იქ ქართული კერა, საკუთარი მიწით და შენობით, რომელშიდაც მოთავსებული იყო ქართული სასაბიბლიოთეკა და მშენიერი ბიბლიოთეკა, რომელიც, სამწუხაროთ, უკანასკნელი ომის დროს ბომბებისგან იქნა გაანადგურებული და მასთან ერთად იმსხვერპლა რამდენიმე ქართველიც. ქართულმა კერამ, მისმა სამკითხველომ და იქ წაკითხულმა წიგნმა ლექციებმა, რომლის უმრავლესობა თვით ლადოს ეკუთვნოდა—დიდი სამსახური გაუწია ჩვენი ქვეყნის კულტურული და პოლიტიკური მომზადების გამოვლინებას არა მარტო სოშოში, არამედ მთელ ახლო რაიონებში.

პიროვნულად ლადო იყო მეტად დინჯი, აუჩქარებელი, არასდროს წონასწორობას რომ არ კარგავდა, უაღრესად პატიოსანი და ნაზი გრძნობის პატრონი.

მას მეტად აწუხებდა და აღონებდა, ამ ბოლო დროს სოც.-დემ. რიგებში ჩამოვარდნილი განხეთქილება და არაერთჯერ აღუნიშნავს ეს ნაღვლიანად. ვერ შეირიგებოდა იმას, რომ ამხანაგები, შეკავშირებულნი განვლილ მუშაობასთან ერთ დამივე პარტიაში, ჯერ კიდევ გუშინ სიკვდილზედაც-კი ერთად მავალნი—ველარ ახერხებდნენ შეთანხმებას და თვითეული თავის გზით ცდილობს სიარულს. და ისიც დღეს, როცა საბჭოთა კავშირში მომწყვედელი სამშობლოს ბედი განსაკუთრებულ მოვალეობას აკისრებს საერთოდ ქართულ ემიგრაციას. და თუ დღემდე კიდევ შეიძლებოდა ცალცალკე ყოფნა—ასკვნიდა—დღეს ეს დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ იყო, რომ ამ ერთობის აღდგენაში ის მხურვალე მოხანწილეობას იღებდა და თუ თვითონ ვერ მოესწრო—იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი ეს ცდა-სურვილი მალე განხორციელებული იქნება. და დღეს, მისი სამუდამო განშორების დღეს—ჩვენ მოვალეთ ჩავთვალებთ თავი ეს მისი გარდაუვალი სურვილი საჯაროთ აღგვენიშნა...

გვ. ურ.

დათიკო კახელაძე.

თბილისის მუშა-ხელოსანი, ტიპიური წარმომადგენელი საქართველოს მუშა ხალხის. ღრმა შეგნებით აღსავსე თავის კლასის ინტერესების და მისი ისტორიული როლის; სახალხო საქმისათვის თავდადებული, რწმენის სიმტკიცის მატარებელი.

აი რა ახასიათებდა მას და მაშინდელ მის თაობას.


პირველ დაწყებითი სკოლის შემდეგ სწავლობს ხელობას თბილისის სახელოსნო სასწავლებელში. ეს ის ხანაა, როდესაც გაზეთ «ივერია»-ს და ჟურნალ «კვალი» ს «შორის იყო ატეხილი საისტორიო დავა, თუ რა გზით უნდა წარმართულიყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნება ქართველი ერის ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ აღორძინების და განვითარებისათვის.

დათიკოსთან ერთად სწავლობდნენ სამოცამედი ქართველი შეგირდი; ამთგან «ივერია»-ს აზრი გაიზიარა ოთხმა-ხუთმა, დანარჩენები კი და მათ შორის დათიკო, როგორც საქართველოში მთელი ქართველი მუშები, მიემხრენ «კვალი»-ს მიმართულებას.

ძველი თაობის ქართველი ინტელიგენციისთვის ძნელი გამოსაცნობი შეიქნა, თუ რატომ ქართველმა მუშა ხალხმა ზურგი შეაქცია ცნობილ ძველ დამსახურებულ საზოგადო

მოღვაწეთ და გაყვენ პოლიტიკურ ასპარეზზე ახლად გამო-
სულ, ჯერ კიდევ საზოგადოებისათვის უცნობ ახალგაზდა
ნოე ქორდანის. ამის ახსნა უნდა ვეძიოთ ჩვენი ქვეყნის მაშინ-
ნდელ ეკონომიურ ვითარებაში, ჩვენი ერის ახლად შექმნილ
სოციალურ ურთიერთობაში.

დათიკო კახელაძის მამა თავის ცოლით და ოთხი შვი-
ლით ცხოვრობდა მთაწმინდაში ერთ პატარა ნესტიან ოთახში.
ბელობით თერძი, საუკეთესო ოსტატათ ცნობილი, მუშაობდა
ტანისამოსის სავაჭრო დაწესებულებისათვის. მასალას იღებ-
და ამ უკანასკნელიდგან, სამუშაოს ასრულებდა თავის სახლ-
ში. ეს იყო საუკეთესო ფორმა უზომო ექსპლუატაციის, რი



თაც უცხო ჩარჩულ კაპიტალს არ ესაქიროებოდა არც ქარ-
ხანა, არც საწარმოო იარაღები, არც ადმინისტრაცია და არც
პასუხისმგებლობა მეფის იმ სუსტ კანონმდებლობის წინაშე,
შრომის მთარველ კანონებს რომ ეძახდნენ.

მთელი ოჯახი ჩაბმული იყო მუშაობაში: კერავდნენ შა-
რვლებს, მუშაობდნენ გათენებიდან შულამემდის. ამ შრომის
საფასურათ იმდენს ვერ იღებდნენ, რომ კვირაში ერთჯერ
ხორცი ეჭამათ, მუდამ მეპურის ვალში არ ყოფილიყვნენ.
ასეთი იყო მაშინ საერთო ბედი ქართველი მუშების უმრავ-
ლესობის. უზომო შრომა და სანახევროთ შიმშილობა მათ
ფიზიკურ გადაგვარებით ემუქრებოდა.

დათიკოს უნდა მოენახა გზა თავის და ოჯახის დასაცვე-

ლათ—გაუქირვებიდან გამოსაყვანათ, და ეს გზა მან მიაგნო «კვალი»-ს აფრიალეზულ დროში, რომლის ერთგულობა და სიყვარული მან თავის საფლავის კარამდინ მიიტანა.

ცხრაას წელში ის უკვე ფორმალურათ ითვლება სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრათ.

1901 წელს, 22 აპრილს საქართველოს დედა-ქალაქში თბილისის მუშებმა თავისუფლების გაშლილი დროშით დიდი გამოსვლა მოაწყეს რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. ასეთი აშკარა, გმირული-გაბედული პოლიტიკური დემონსტრაცია პირველი იყო მთელ რუსეთში. შეიარაღებულ ქვეითა ჯარის ნაწილებს და ცხენოსან ყაზახებს დემონსტრანტები ჯოხებით და რიყის ქვებით შეეტაკენ. თავისუფლებისათვის ბრძოლაში აქ პირველათ დაიღვარა სისხლი თბილისის მუშების. დათიკა კახელაქე მონაწილე იყო ამ ისტორიული ამბის.

შეგირდობის დამთავრების შემდეგ დათიკა მუშაობდა რკინიგზის სატელეგრაფო ქარხანაში, საიდანაც მისი ამხანაგები ირჩევენ მას თავიანთ წარმომადგენელათ რაიონულ კომიტეტში. რამდენიმე ხნის შემდეგ რაიონული კომიტეტიდან აგზავნიან თბილისის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კომიტეტში. აქ თავს იყრიდენ ყველა რაიონების მუშათა წარმომადგენლები, რომლებიც, ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებამდის, იყვნენ მეთაურნი და ხელმძღვანელნი თბილისის მუშათა მოძრაობის და მოქალაქეთა რევოლუციონურ პოლიტიკურ ბრძოლების.

როცა საქირო შეიქნა რეაქციის თავაშვებული ტერორის წინააღმდეგ და მეფის მთავრობასთან მომავალ გადაწყვეტ ბრძოლებისათვის იარაღის დამარაგება, თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით დათიკოს მიანდეს ბომბების ლითონის ზოგიერთი ნაწილების გამოჩარხვა, რისთვისაც პარტიამ უყიდა მას საჩარხი დაზგა. მან იცოდა, რომ ამ საქმისათვის მას მოელოდა კატორღა და სამუდამო ციხბირი, მაგრამ დათიკოს ამისი არ შეშინებია და დღედაღამე თავგანწირული მუშაობდა და ჩარხამდა სანამ ეს პარტიისათვის საქირო იყო.

პირველ დიდ ომიანობისას ის სათავეში ედგა თბილისის მუშათა კოლპერატივ «ალორძინება»-ს. მისი მუყაითი და ენერგიული შრომით კოლპერატივი სწრაფად გაიზარდა: ერთი წლის განმავლობაში საქირო შეიქნა რამდენიმე განყოფილების გახსნა მუშათა უბნებში.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ის ინიშნება მომარაგების სამინისტროს სავაჭრო აგენტათ ბათუმში ხორბლეულობის და სხვა საქირო საქონლის შესაქენათ. რაკი ამ საქმისათვის საქირო იყო უცხოეთის ვალიუტა, რაც ჩვენს მთავრობას ნაკლებათ მოეძებნებოდა, მისი ინიციატივით და რჩევით სამინისტრომ გახსნა ნავთსადგურთან ქვანახშირის დიდი საწყობი. აი ამ ნახშირს ყიდდა უცხოეთის გემებზე და შექენილი ვალიუტით ყიდულობდა ფქვილს, შაქარს, ტყავეუ-

ლობას და სხვას, როგორც ბათუმში შემოტანილს, ისე თვით სტამბოლშიაც. მისი მოხერხებული და გამჭურჩის მოქმედებით მომარაგების სამინისტრო გასაჭირის დროს მუდამ ახერხებდა შეუწყვეტლივ ეძლია და არ შეემცირებინა ჯარისთვის და მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებული ულუფა.

ბათუმში მან მიაქცია ყურადღება, რომ საქართველოდან გააქვდნენ ოსმალეთში კონტრაბანდა, როგორც სიმინდი, ისე სავალიუტო საქონელი. მომარაგების სამინისტროს დასტურით დათიკომ შეიძინა ერთი დიდი მატორიანი ნავი, დადგა ზედ ტყვიისმფრქვეველი, ჩასხა ნავში გვარდიელები და გაუშვა ზღვაში სადარაჯოთ. ნავი ეროვნული დროშით დღე და ღამე უვლიდა საქართველოს შავი ზღვის ნაპირებს და სულ მოკლე დროში საგრძნობლათ იქნა შემცირებული საქართველოდან საზღვარგარეთ საკონტრაბანდო საქონლის გატანა.

პარტიის ერთგული და საქართველოს პატრიოტი ემიგრაციაშიაც ასეთივე დარჩა. აქ მას არ დაურჩა ასპარეზი საზოგადო საქმეებში სამოღვაწოთ, მაგრამ მისი ბოსტანი და ბაღი მას არ უშლიდა, რომ ყოფილიყო მუდამ მზათ და თავი ეგრძნო პარტიის და უცხოეთში გადმოსხვეწილ საქართველოს მთავრობის განკარგულებაში.

როცა ჩვენი პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ გადასწყვიტა მოეწყო საიუბილეო დღე საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის დაარსების 60 წლის თავის აღსანიშნავათ, ნოე ქორდანიამ მისწერა მას წერილი, რომ დაეწერა მოგონება და აღენიშნა ძველი პარტიული მომუშავენი. ავადმყოფობისაგან და გაჭირვებული ცხოვრებისაგან ფიზიკურათ დასუსტებული და ხშირათ დაღვრემილი, უცბათ გამოცოცხლდა, გამოყჩაღდა, ნოეს წერილს სულ უბით ატარებდა და მძიმე მუშაობის შემდეგ დაღლილი და დაქანცული ღამეებით გვიანობამდე არ ეძინა, ფიქრობდა, კითხულობდა, სწერდა და ისწრაფოდა პარტიული დავალება შეესრულებინა.

ნოე ქორდანიას სიკვდილის გამო ვერ მოეწყო ჩვენი პარტიის საიუბილეო დღე. ქართველი ერის და მშრომელი ხალხის ბელადის დაკარგვამ დააღონა და დააწყლულა დათიკოს დასუსტებული გული.

განვლილმა მძიმე შრომამ, პატარაობის და მოხუცებულებასში ხშირმა გაჭირვებულმა ცხოვრებამ თავისი გავლენა მოახდინა მის სიჯანსაღეზე და კარგა ხნის ზერელე ავადმყოფობის შემდეგ 71 წლის თავზე გარდაიცვალა პარიზის საავადმყოფოში. მისმა ოჯახმა, ამხანაგებმა და მეგობრებმა დაასაფლავეს ლევილის სასაფლაოზე მისი ძვირფასი ოჯახობის, ამხანაგ სონას გვერდით.

გ. ერმაძე.

ბ ი ბ ლ ი ო ზ რ ა ზ ი ა .

«ჩემი წაბსული»—ნ. ჟორდანიას.

ნოე ჟორდანიას ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუფასებელ განძათ შევიდა საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის და აზრის ისტორიაში. 60 წლის მოუსვენარი პრაქტიკული და სალიტერატურო მოღვაწეობის შესწავლა და დაფასება ადვილი საქმე არ არის.

თავისი მოღვაწეობა განსვენებულმა პრეზიდენტმა და აგვირგვინა პირადი მოგონებებით. მისი უკანასკნელი შრომა «ჩემი წარსული» წარმოადგენს დასკვნას და გასაღებს, როგორც მისი მოქმედების, ისე მისი პირადი ფორმაციის ახსნის და გაგებისათვის.

წიგნი დაწერილია მისთვის ჩვეულებრივი მარტივი ენით და მიუხედავად სიუჟეტის ფაქტიური სიმძიმისა იკითხება როგორც მეტად საინტერესო რომანი. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ავტორმა საპიროდ არ მიიმჩნია თავის მოგონებებში აღნიშნა ის მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები და ფაქტები. რომელთა შესახებ უკვე დაწერილა და საზოგადოებას თავის დროზე ემცნო. ეს ადვილი გასაგებიცაა, 60 წლის განმავლობაში დაგროვილი მასალის ერთ შრომაში მოთავსება შეუძლებელია.

ნოე ჟორდანია დასაწყისშივე გვაცნობს, თუ რა ექვი და ეპატრონა მის ბავშურ გონებას ზოგიერთი ბუნებრივი მოვლენების ხალხური განმარტების მიმართ. კრიტიკის და ანალიზის მოთხოვნილებით დაიწყო მისი ბუნებრივი გენიის გამოვლენა. არსებულის ახსნა, კრიტიკის ქარცეცხლში გატარებით, ზრდიდა მასში რევოლუციონურ სულისკვეთებას. მის წინაშე უმაღვე დაისვა ბუნების და საზოგადოების მამოძრავებელ კანონთა რთული პრობლემა. ის დაეწაფა ბუნების მეტყველების და სოციოლოგიის შესწავლას, რასაც ახალგაზრდა სემინარისტი უკვე მიუყვანია დარვინის კონცეპციამდე ბუნების მოვლენათა ახსნა-განმარტებებში და რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ გაგებამდე პოლიტიკურ პრობლემათა გადაწყვეტაში. საერთო უფიცობით გათამამებულ მეფურ რეაქციის წინააღმდეგ ამხედრებული რევოლუციონერი უახლოვდება მაშინ გაბატონებულ ნაროდნიკულ იდეებს, მაგრამ მის პოზიტიური ძიების ტენდენციებს არც ეს იდეები აკმაყოფილებს. ეს იყო კეთილგანწყობილ ინტელიგენციის რომანტიული გაქანება, მოკლებული რეალურ ძალას, ხალხთან კავშირს;—წმინდა რუსული ინტელიგენციის სულის ნაყოფი.

1892 წელს ის საფუძვლიანად ეცნობა ვარშავაში დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ მოძრაობას და ხდება მარქსისტი, მაგრამ შესაძლებელი იყო თუ არა ევროპის ნიადაგზე

მომწიფებული რევოლიუციონური იდეების ქართულ სინამდვილეში გადმოტანა? ევროპის სოციალისტური და მარქსისტული მოძრაობა წარმოიშვა ევროპის სინამდვილეში, ახალ საწარმოო დამოკიდებულების ნიადაგზე დამყარებულ კლასთა ანტაგონიზმის შედეგად. ეს იყო დაპირისპირება პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის, ჩაგრულისა და დამჩაგრელის. საქართველოში არცერთი და არც მეორე კლასი საგრძობ ძალას არ წარმოადგენდა. ამავე დროს აქ დაჩაგრული იყო მთელი ერთი და ერთი—გლეხობა. ეს პრობლემა ნოე ჟორდანიამ გადასწყვიტა ორგანიზებული კავშირით მცირერიცხოვან მუშათა კლასსა და უმთავრეს ქართველ მასის—გლეხობას შორის. ამ კავშირის იდეოლოგიათ მან მარქსიზმი გამოაცხადა და საამისო ბრძოლის იარაღის გამოკვეთას შეუდგა.

1893 წელს, ნ. ჟორდანიას და მისი მეგობრები სინციავით გამოიქედა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, რომელმაც დასავლეთური იდეები წარმატებით ხალხში გადაიტანა და ბრძოლის ენით აამოძრავა. ნ. ჟორდანიას მოპყავს ერთი გურული მუშის სიტყვები, ანუ მისი გამოთქმით, აღმოჩენა ზედმეტ ღირებულებებზე: ისე დავებრდი, რომ მეგონა ხაზეინი მარჩენდა, თურმე მე ვარჩენო. ჩაგრულმა გაიგო, რომ ისიც რაღაც ფუნქციას ასრულებს საზოგადოებაში, ისიც ადამიანია. აქედან,—ხალხის მიერ თავისი ღირებულების შეგნება და ამ ნიადაგზე ჩაგრულთა გაერთიანება. საქართველოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია გახდა მასიური ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის მეთაური. სახალხო განთავისუფლების საქმეს ხალხი დაეპატრონა. ასე მარტივად და მეთოდიურად მოხდა დასავლეთური იდეების და ქართველი ხალხის სადღეისო მოთხოვნილებების სინთეზი.

თვით ნოე ჟორდანიას, დასავლეთ ევროპაში მოგზაურობით, პირადად ემსახურებოდა მის მიერ შექმნილ ხალხოსნურ მოძრაობის დაკავშირებას დასავლეთის ჩაგრულთა მოძრაობასთან. მან უმტკივნეულოდ, ანალიტიკური ლოლიკის წყალობით მოახდინა მარქსიზმის «ნაციონალიზაცია», რაც სხვათა შორის, ამ მოძღვრების სწორი გაგებიდან გამომდინარეობდა. ამრიგად, გაირიყა ბოლშევიკური პრაქტიკა და იდეოლოგია, რომლის მთელი რევოლიუციონური აქტივობა უმორალე «ექსებით» ამოიწურებოდა.

სოციალისტ-დემოკრატს ნ. ჟორდანიას სწამდა ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესების სოლიდარობა და მათი თანამშრომლობის აუცილებლობა. აქედან მისი პროგრამა: ამიერ-კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პარლამენტით თბილისში.

1902 წლის ლონდონის ყრილობაზე ნ. ჟორდანიამ დააყენა ორი მთავარი საკითხი: აგრარული და ეროვნული. ყრილობას

ნ. ჟორდანიამ მიაღებია ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რაც პლენაროვის განმარტებით ნიშნავდა ერის სრულ დამოუკიდებლობას, თუ ის მოისურვებდა. ამოძრავება ერის, ამოძრავება მეზობლების, მათი ერთობა რუსეთის იმპერიის ჩაგრულ მასასთან—აი რას ემსახურა და მიაღწია საქ. სოც. დემოკრატიამ მისი ლიდერის ხელმძღვანელობით. მისი სამივე ფრონტზე გამარჯვება დადასტურებულ იქნა მერმინდელ მოვლენებით. მიუხედავად ღრმა ტაქტიკური განსხვავებისა დიდმა პოეტმა და ეროვნულმა მოღვაწემ ილ. ჭავჭავაძემ ნ. ჟორდანიას შესთავაზა გაზ. «ივერია»-ს ხელმძღვანელობა. საიმპერიო ასპარეზზე ეს ნდობა გამოიხატა იმაში, რომ ის უდაოდ გახდა პირველი დუმის რევოლიუციონერი ფრანტილის თანამჯდომარე და პოლიტიკური ბრძოლის ავტორიტეტის ხელმძღვანელი. ხალხ თებერვლის რევოლიუციამ მას ჩააბარა მთელი ამიერ-კავკასიის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურობა. ეს საერთო ნდობა და ავტორიტეტი მან დაიმსახურა მოუსვენარი ბრძოლის და საუურნალო მოღვაწეობის პროცესში. ამ ადამიანის მძლავრ პიროვნებაში, რაციონალური სინთეზის წყალობით მოხდა ეროვნული და ინტერნაციონალური იდეალიზმის შეთავსება. მისმა წინდახედულებამ და ტაქტიკურმა ინტუიციამ ამიერ-კავკასია იხსნა ანარქიისა და განადგურებისაგან. მისი პირადი ავტორიტეტით იგი ასრულებდა არბიტრის როლს. ფიქრობდა და გიკვირს, რა ფიზიკური გამძლეობა უნდა ჰქონოდა ამ ადამიანს, რომ ამდენი საპასუხისმგებლო მოვალეობისათვის მოეწყო!

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ გადმოხვეწილი პრეზიდენტი დაუყოვნებლივ თავისი დიპლომატიური მისიის შესრულებას შეუდგა, მაგრამ მან უმაღლეს აღმოაჩინა, რომ საკუთარ ქუთქში გამოხვეულ ევროპის საზოგადოებას აღარ ამოძრავებს საერთაშორისო სოლიდარობის ელემენტარული იდეალიზმი. ამიტომ მისი ხედვა მიიმართა მეტროპოლიტანული ერისაკენ. 32 უკანასკნელი წელი მოანდომა მან არსებობისათვის მეტროპოლი ერის გამხსნევებს და მასში იმედის ცეცხლის მოვლა-შენახვას, რომლითაც თვითონ იწოდა. მას სწამდა რასაც აკეთებდა და ეს რწმენა დაუტოვა მან მისი ჰუმანიტარი იდეებით გამოფხიზლებულს, ტირანიის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველ ხალხს. ის ვერ მოეწრო თავისი შრომის გამარჯვებით დამთავრებას, მაგრამ ერს დაუტოვა ურყევი რწმენა და იმედი სამართლიანი საქმის გამარჯვებაში.

«ჩემი წარსული»-ს დამთავრებით, ნ. ჟორდანიამ მართლაც დაავიწყებინა მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მოგვცა მარტივი განმარტება დასავლეთურ და ქართულ იდეოლოგიის იმ სინთეზისა, რომელმაც შექმნა ამ მოღვაწეობის უკვდავება.

ვალ.

კატეგორიები

ამ რამდენიმე თვის წინად გამოვიდა ინგლისურ ენაზე კ. კანდელაკის წიგნი, მას ეწოდება—«The Georgian question before the free world» (საქართველოს საკითხი თავისუფალ მსოფლიოს წინაშე).

კ. კანდელაკის ამ წიგნით გამოსწორებულია ის ნაკლი, რომელიც უცხოეთში მომუშავე ქართველ მოღვაწეებს ჰქონდათ საპროპაგანდო ლიტერატურის უქონლობით ინგლისურ ენაზე.

ესლა ამ წიგნის საშუალებით უცხოელ მკითხველთ შვეუძლიათ დეტალურად გაეცნონ, თუ როგორ და რა პირობებში მოხდა საქართველოს დაპყრობა საბჭოთა ჯარების მიერ, რა დიდი მუშაობა გაუწევია ქართულ ეროვნულ მთავრობას ამ ვერაგული აქტის ფართედ საშუაარაოზე გამოსატანად და რა თანაგრძნობა და გამოძახილი ნახა ქართულ საკითხმა ევროპის ქვეყნების ოფიციალურ და არაოფიციალურ წრეებში.

წიგნი მდიდარია ფაქტებით, დოკუმენტებით, სხვადასხვა მთავრობათა განცხადებებით, თუ პარლამენტებში წარმოთქმული სიტყვებით. ბლომათ არის მოყვანილი და კარგად გაშუქებული ევროპის დემოკრატიულ და სოციალისტურ ორგანიზაციათა და პარტიათა მიერ მიღებული რეზოლიუციები საქართველოს შესახებ.

კარგად არის გარკვეული, თუ რა სახით იდგა ქართული საკითხი საერთაშორისო კონფერენციებზე—კანში, გენუაში, ლონანში—და რა გამოძახილი ჰოვა მან იქ.

აღნუსხულია აგრეთვე ყველა ის დებატები და სიტყვები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ერთა ლიგის კრებებზე და მოყვანილია ამ კრებებზე მიღებული ყველა რეზოლიუციები.

ერთი სიტყვით წიგნში მოცემულია ნათლად ჩვენი ეროვნული მთავრობის და ქართველ პოლიტიკური მოღვაწეების ემიგრაციაში დიდი მუშაობის მთელი სურათი.

წიგნს თანდართული აქვს მოკლე გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები საქართველოს შესახებ, რომელთაც უცხო მკითხველი უთუოდ საინტერესოდ ჩასთვლის.

აქვეა დართული რუსეთთან 1783 წლის ხელშეკრულება, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და საქართველოს კონსტიტუცია.

წიგნი ადვილად და დიდის ინტერესით იკითხება. გამოცემა გარეგანის მხრივაც კარგია. შეიცავს 218 გვერდს.

ავტორის წიგნისას დიდი შრომა გაუწევია და ამ შრომისათვის ის დიდი მადლობის ღირსია.

ბ. ვვარჯალაძე.

რედაქციისაგან: ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ის წერილები, ავტორს პირადად და «საქართველოს დამოუკი-

დებლობის აღდგენის ამერიკულ საბჭოს» (ამ «საბჭომ» იკისრა წიგნის ამერიკის პოლიტიკურ წრეებში გავრცელება) რომ მოზნდის, და ის რეცენზიები, უცხოეთის გაზეთებმა ჯერ ჯერობით რომ მოათავსეს (ფრანგულ და ინგლისურ ენაზე), სავსებით ეთანხმებიან ჩვენი ამხანაგის კ. გვარჯალაძის მიერ დიდი ხანია დაწერილს ამ წიგნის დაფასებას (წინა ნომერში უადგილობრის გამო ვერ დაიბეჭდა). ის ყურადღება, რომელიც კ. კანდელაკის შრომამ საერთოდ გამოიწვია, მოწმობს, რომ ინტერესი საქართველოს საკითხისადმი უცხო პოლიტიკურ წრეებში ცოცხალია. ჩვენი მოვალეობაა ეს ინტერესი შევიწინააღმდეგოთ და გავაძლიეროთ ასეთივე სასარგებლო წიგნების გამოცემით.

იღებენ ელიგულაშვილის სახელგადასმულად.

«ბანიოს» სასაფლაოზე კვირას, 25 ოქტომბერს, ნაძუბადღევის სამ საათზე შედგა სამოქალაქო პანაშვიდი საქართველოს მთავრობის ფინანსთა მინისტრის ამხანაგის იოსებ ელიგულაშვილის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად. ქართულ სათვისტომოს სახელით სიტყვა წარმოთქვა მისმა თავმჯდომარემ შ. აბდუშელმა, სოც.-დემ. პარტიის სახელით — ლ. ფალავამ.

მ რ ი მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

კვირას, 4 ოქტომბერს და შაბათს 7 ნოემბერს, ბ. ლადო ბელიაშვილმა წაიკითხა მოხსენება «რუსთაველის და დანტეს იდუმალი». მოხსენებელი უდგება «ვეფხისტყაოსანი»-ს განხილვას სრულიად ახალი მიდგომით. შეიძლება ავტორს არ დაეთანხმონ, მაგრამ მისი მოსაზრებების ანგარიშის არ გაწევა შეუძლებელია. ეტყობა მომხსენებელს დიდი მუშაობა გაუწევია და მისი აზრები ითხოვენ სერიოზულ ყურადღებას.

მოხსენება დიდის ინტერესით იქნა მოსმენილი დიდძალი საზოგადოებისაგან.

მეორე მოხსენება წაიკითხა, ახლად დაარსებულ «კულტურული წრე»-ს თაოსნობით პავლე სარჯველაძემ შემდეგ თქვა: «ქართული მხატვრული მწერლობის ძირითადი მოტივები». მომხსენებელმა ვრცლად განიხილა, როგორც თვითმპყრობელობის და დამოუკიდებლობის დროის, ისე საბჭოთა საქართველოს ლიტერატურის ვითარება. მან სათანადო დადარებებით და ახსნა-განმარტებებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მრავალ მსმენელზე, რომლებიც ორი საათის განმავლობაში სულგანაპული უსმენდნენ მის თხრობას...

ბ. შ.

კარგა ხნის სურვილი სისრულეში იქნა მოყვანილი: აქ გარდაცვლილ ქართველთათვის მოეწყო ძმათა სასაფლაო. ამ საქმის განხორციელებას ჰქონდა არა ერთი დაბრკოლებანი, როგორც მატერიალური, ისე ფორმალური ხასიათის. ასოციაციის გამგეობის ცდების შემდეგ, ამა წლის 1 ნოემბერს შესაძლებელი გახდა გარდაცვლილთა ერთ სასაფლაოზე თავის მოყრა და საერთო ძეგლის დადგმა. ძეგლი გახსნა ასოციაციის თავმჯდომარემ ბ-ნ ალ. შათირიშვილმა ადგილობრივ ქართველი საზოგადოების თანადასწრებით, რომელმაც წარმოსთქვა მეტად მგრძნობიარე სიტყვა, რომელიც დაათავა ასე: ყველა მათ ჩვენსავით სურდათ სამშობლოში დაბრუნება, მუხთალმა ბედმა მათ აქ გაუთხარა სამარე, ჩვენი ვალია მათზე ზრუნვაო.

სასაფლაოს შემოვლებული აქვს «ბეტონის» კედელი. შუა ადგილას აღმართულია ძეგლი რომელზედაც ამოკვეთილ იქნება გარდაცვლილთა სახელი და გვარი.

ი. ბ-ლი.

ახალი გამოცემები

მივიღეთ «საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკული საბჭო»-ს ჟურნალი «ჩვენი გზა», № 1—2 ინგლისურ და ქართულ ენაზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ბ.ბ. გრიგოლ დიასამიძე, ვანო ნანუაშვილი, გივი კობახიძე, ილია გოლდმანი და სხ.

ჟურნალი დიდი მზრუნველობით არის შედგენილი.

გამოვიდა ბ-ნ გიორგი კერესელიძის წიგნი ფრანგულ ენაზე: «Dastin d'un peuple, La Georgie». გამოცემულია ჟურნალ «მებრძოლი საქართველო»-ს მიერ. წიგნის დანიშნულებაა გააცნოს უცხო მკითხველს საქართველოს ისტორია და ქართველი ერის ბრძოლა თავისუფლებისთვის.

წიგნი მოკლედ (61 გვერდი), მაგრამ მოხდენილათ დაწერილი ემსახურება თავის დანიშნულებას და ხელს შეუწყობს ჩვენი საკითხის პროპაგანდას უცხო წრეებში. გამოვა ეს წიგნი ინგლისურ ენაზედაც.

მიუნხენიდან მივიღეთ მინდია ლაშაურის ლიტერატურული შრომა «ქართული სული». ავტორი დაკვირვებით და ხელოვნებით თავს უყრის და არჩევს მრავალ მასალებს ჩვენი ისტორიული წარსულიდან, უმთავრესად ქართული ლიტერატურიდან, რომელთაც უკვდავყვეს და განამტკიცეს ქართული სული.

ბ.ნ ვ. ნანუაშვილმა გამოსცა ინგლისურ ენაზე მოხსენება საბჭოთა კავშირში მოსახლე რუს და არარუს ერების რაოდენობისა და მათი სამხედრო ძალის შესახებ. ფრანგულ ყოველ-კვირეულ გამოცემაში Danube-Presse (№ 34, 18 ოქტომ. 1953) მოყვანილია ამ მოხსენების შინაარსი და ავტორის შეხედულება მიაჩნია იმდენათ საინტერესოთ, რომ იგი—ამ გამოცემის აზრით შესწავლილ უნდა იქმნეს განსაკუთრებული ყურადღებით.

S.

ქალაქ კალეში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ამხანაგ იოსებ ცინცაძის მეუღლე. დასაფლავებას დაესწრო ადგილობრივი მერი და დიდძალი საზოგადოება.

«ჩვენი დრონა» ს რედაქცია უცხადებს ამხ. იოსებს თავის თანაგრძნობას.

სამქიზრის წირილი.

აკაკი ჩხენკელმა მიიღო საბერძნეთიდან ბ ნ პეტრე ჩინელისაგან სამქიზრის წირილი ნოე ჟორდანიას გარდაცვალების გამო.

მადლოვის გამოცხადება.

ულრმეს მადლობას უცხადებ ყველა იმ თანამემამულეთ, რომლებმაც ჩემი საყვარელი მშის ნიკიტას გარდაცვალების გამო თანაგრძნობა გამოამიცხადეს.

ნიკო იმნაიშვილი.

თამარა თაყაიშვილისა ქმარ-შვილით ულრმეს მადლობას უცხადებს ყველა მათ, ვინც კეთილი ინება და თანაგრძნობა გამოუცხადა მისი საყვარელი მამის დათიკო კახელაძის გარდაცვალების გამო.

ბ.ნ რეჯიბ ჟორდანიას დაუწერია პიანინოსათვის ქართული ცეკვის ნოტები. მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ გრ. მოდებამესთან: 39 bis, rue Moliser, Paris 16.

მასთანვე იყიდებან. ჟორდანიას «ახალი ნაწერები» 300 ფრ. და «ჩემი წარსული» 500 ფრ.

ჩვენს მკითხველებს

თქვენ კარგად მოგეხსენებათ თუ რა მნიშვნელობა აქვს პრესას და ისიც დღეს, ამ რთული საერთაშორისო მდგომარეობის დროს. დღემდის ჩვენ ვახერხებდით «ჩვენი დროშა»-ს გამოცემას და ასე ჩვენ საშვალედა გვქონდა გვეთქვა ჩვენი სიტყვა ყველა იმ საკითხებზე, რომელსაც პირდაპირი თუ არა-პირდაპირი კავშირი აქვს ჩვენს ქვეყანასთან და მის სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესებთან. დღეს ყოველგვარი საშვალედა გაზეთის გამოცემისა ამოწურულია. ამიტომ მოგმართავთ თქვენ გაგვიწიოთ დახმარება, როგორც მატერიალური, ისე იდეური, რათა საერთო ძალებით შევსძლოთ ჩვენი პასუხისმგებლობის სასურველად შესრულება. დარწმუნებული ვართ ჩვენი მოწოდება იპოვის სათანადო გამოძახილს ყველა ჩვენს ამხანაგებში და თანამგრძობებში.

„ჩვენი დროშა“-ს რედაქცია.

დახმარება «ჩვენი დროშა»-ს.

შემომწირველთა პირველი სია: გრ. უჩაძისაგან, გრ. მო-
დებაძისაგან და ვ. ჭელიძისაგან ათას-ათასი ფრ., მ. ჩუბინი-
ძისაგან 700 ფრ., მონიავასაგან 600 ფრ.; ნანუაშვილისაგან 300
ფრ.; კირტავასაგან, ვ. წულაძისაგან, ვ. ჩუბინიძისაგან, მელ-
ქაძისაგან და აკ. ასათიანისაგან ორას-ორასი ფრ.; გრ. წვრე-
თელისაგან, ე. ცაგარელისაგან, მ—საგან, წ—საგან, ამირანისა-
გან, ჩხაიძისაგან, ჩ—საგან, კ—საგან, მანისაგან, ტ—საგან, არ.
მჭედლიშვილისაგან, ყურულაშვილისაგან და ტოლონიძისა-
გან ას-ასი ფრანკი; პავლე კვარაცხელიასაგან 2 ნახევარი დო-
ლარი.

ავსტრიიდან ერეთეოზ რამიშვილისაგან 8 დოლარი.

მეორე სია: ქან ქეთო ვაჩნაძისაგან, გრ. უჩაძისაგან, ან.
ქორქოლიანისაგან, გრიშა კერესელიძისაგან და ნიკო იმნაი-
შვილისაგან ათას-ათასი ფრანკი; კ. გვარჯალაძისაგან, დ. ხე-
ლაძისაგან და ერ. მაჭავარიანისაგან ხუთას-ხუთასი ფრანკი;
მ. ჩუბინიძისაგან. ვ. ჩუბინიძისაგან, ვ. გაჩეჩილაძისაგან, ქრ.
იმნაიშვილისაგან და გ. ნოზაძისაგან ორას-ორასი ფრ.; მჭედ-
ლიშვილისაგან, ხაბულიანისაგან, კ. ორაგველიძისაგან, ა—სა-
გან, დ. ერქომაიშვილისაგან და ქან ინა ქორდანიასაგან ას-ასი
ფრ.: პავლე კვარაცხელიასაგან 5 დოლარი.

ფული და დასაბუქდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი *)

მიუნხენის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ თავის ღია სხდომაზე, 1952 წლის 22 სექტემბრიდან—29 სექტემბრამდე, მოსამართლე—სასამართლოს მრჩეველის დრ. რაცინგერის და საბუთების მოხელე—იუსტიციის მდივან ფერის მონაწილეობით, განიხილა კერძო საჩივრის საქმე ექ. გრ. ალშიბაიას და მიხეილ ალშიბაიასი, ერთ დამავე დროს მომჩივანთა და მოპასუხეთა, წარმოდგენილი ვექილ დრ. რ. აშენაუერის მიერ წინააღმდეგ აღექსანდრე დემეტრას, როგორც ბრალდებულის და მოპასუხისა, და გამოიტანა შემდეგი განაჩენი:

ცნობილ იქნას, დემეტრა აღექსანდრე, დაბადებული გორში (თბილისის ოლქი) 13 აპრილს 1886 წელს, უსამშობლო, განქორწინებული დეკანოზი, ამჟამად მცხოვრები მიუნხენში, მიუღერის ქუჩაზე 45, დამნაშავეთ ორმაგ უფლებრივად ანალოგიურ, განმეორებით და საჯაროდ ჩადენილ ცილისწამებაში, დაკავშირებით ორ უფლებრივად ანალოგიურ, განმეორებით და საჯაროთ მიყენებულ შეურაცხყოფასთან.

რის გამოც მას მიესაჯა 600 (ექვსასი) გერმ. მარკის ჯარიმა ან 100 (ასი) დღის ციხე.

საქმე ორივე მოპასუხის—გრიგოლ ალშიბაიას და მიხეილ ალშიბაიას წინააღმდეგ—ისპობა.

სასამართლოს ისე როგორც მომჩივანთა და იმავე დროს მოპასუხეთა მიერ გაწეული ხარჯები ეკისრება მოპასუხეს და ბრალმდებელს დემეტრას.

ორივე მომჩივანს უფლება აქვს ეს განაჩენი გამოაქვეყნონ ერთხელ დამნაშავის ხარჯზე გაზეთ «ზიუდ დოიჩე ცაიტუნგ»-ის განცხადებათა განყოფილებაში და პარიზის ქართულ ჟურნალებში «ივერია»-ში და «ჩვენი დროშა»-ში.

ხელს აწერს რ. რაციინგერი

სასამართლოს მრჩეველი.

დედანთან სწორია ფერო

იუსტიციის მდივანი.

მიუნხენი, 2 ივლისი 1953 წელი.

*) იბეჭდება თანახმად სასამართლოს დადგენილებისა.